ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




სამშაბათი, 12 თებერვალი, 2013 | №35 (6036) | ფასი: 30 თეთრი

# სააკაშვილი და უსუფაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში შეხვდნენ ერთმანეთს გვ.2



უკიდურესად შეშფოთებული ვარ, რაც მოხდა ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, როცა ადგილი ჰქონდა მასობრივ ეგზეკუციას ციხიდან გამოსულ კრიმინალთა ბანდის მიერ და არა ხალხის მიერ ოპოზიციის მიმართ. ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ, რომ ეს აღარ განმეორდეს.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში პრივილეგირებული კასტა აღარ იარსებებს“ გვ.3



## სანდრო ბრეგაძე: „ადეიშვილს ნაციონალები ემუქრებიან“ გვ.5

სააკაშვილი 300-400 კაცსაც კი ვერ აგროვებს თავის მხარდასაჭერად



## ქართველი პოლიტიკოსების ენა გვ.6



## აკაკი ასათიანი: „საქართველო რესპუბლიკელების ხელში არ აღმოჩნდება“ გვ.2



## ალასანია თურქეთში ივანიშვილთან ერთად წავა გვ.4

## სოზარ სუბარი ჟურნალისტებს ციხეში არ შეუშვებს გვ.4




6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ჩე გევარა
8 ლარი




9 771987 938006

3 თქვენი ზონდერი ჩვენსას სჯობია
4 მაია ფანჯიკიძე: „ევროპა ქართველი ხალხის არჩევანია“
4 2008-2009 წლებში ანაკლიაში საკუთრების უფლების ხელყოფა პროკურატურის ჩარევით ხდებოდა
2 გია თორთლაძე დაკითხვაზე გამოცხადდა

# აკაკი ასათიანი: „საქართველო რესპუბლიკელების ხელში არ აღმოჩნდება“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

***— ბატონო აკაკი, იმის შემდეგ, რაც 8 თებერვალს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას მოყვა, დღეს ორივე მხარე ახალ-ახალი ინიციატივით გამოდის. ეს რამდენად შედეგიანი იქნება?***

— სიმართლე გითხრათ, მაინც ვერ მივხვდი, რა იყო ეს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ნაცმოძრაობა, ამჟამინდელი უმცირესობა, რაღაცაზე ვაჭრობს, გინდა თუ არა ქუთაისში დარჩეს, ეს საკონსტიტუციო ცვლილებები... ჩემი აზრით, მათ რომ მოეხსნათ პრეზიდენტისთვის მთავრობის დათხოვნის უფლება, არანაირი პრობლემა აღარ იქნებოდა. თუ გამოყენებას არ აპირებს და მეც ვფიქრობ, რომ არ გამოიყენებს ამ უფლებას პრეზიდენტი, იმიტომ, რომ არანაირი აზრი ამას არა აქვს მათთვის პოლიტიკურად, მაშინ მთელი ეს აჟიოტაჟი არ ატყდებოდა. მათ მიაჩნიათ, რომ ამას დასავლეთის სოლიდარობის მოსაპოვებლად აკეთებენ. იქ მივიდა აღშფოთებული ხალხი, იყო დიდი რაოდენობა, შინაგან საქმეთა მინისტრიც მივიდა, ჩაერია სიტუაციაში. ეს მაინც დიდი პროგრესია იმასთან შედარებით, ის რაც იყო ადრე. რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გააკეთეს. ახლა რაღაცა ვერ გაითვალისწინა ხელისუფლებამაც, რომ შეიძლებოდა ასეთი რაღაც დატრიალებულიყო.

***— საზოგადოების დიდ ნაწილს დარჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს პროვოკაცია ნაციონალებისგან მოდიოდა და შეგნებულად გააღიზიანეს იქ მისული საზოგადოება...***

— ეს, ბუნებრივია, ასე იყო. მე იქ არ ვყოფილვარ, თბილისში არ ვიყავი საერთოდ ამ დღეს და კადრები რაც ვნახე, მართლაც მეც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იყო იმის საშუალება, რომ ეს არ გამწვავებულიყო. რაღაც უცნაურად მოქმედებდა ქალაქის მერი და უმცირესობის გარკვეული ჯგუფი. ვერ გავიგე, რა მოხდა, შეიძლება ანერვიულდნენ, შეიძლება ეს შეგნებულად გააკეთეს, ანდა ყველაფერი შემთხვევითობა იყო. თუმცა მეც ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პროვოკაცია ნაციონალების მხრიდან მოდიოდა. მათ შეეძლოთ ის კორიდორი გაევლოთ მშვიდად, შეძახილების გარეშე და ისე შესულიყვნენ შენობაში. მათ ეს უნდა აღიარონ და ნამდვილად არ უნდა უკვირდეთ, რომ ხალხს ასეთი შთაბეჭდილება დარჩა.

***— თუმცა დღეს უკვირთ და პრეტენზიებს გამოთქვამენ, სამართალდამცავებს მათი მისამართითაც რომ აქვთ კითხვები. საერთოდ რამდენად სწორია, გამომძიებლებს იქით რომ იბარებენ, კაბინეტებში?***

— რა გითხრათ, აბა, რამდენად სწორია არ ვიცი... რაღაცა ჯინიანი ბავშვების თამაშს დაემსგავსა ეს ყველაფერი. მე ვამბობდი, რომ ნაციონალები საბავშვო ბაღში იყვნენ, თამაშობდნენ და კიდევ იქ არიან დარჩენილები. დღეს ვითარება შეიცვალა, თან ძალიან სერიოზულად და ეს უნდა გაითვალისწინონ. ყველანი რეალობის კონტექსტში უნდა მოექცნენ. მე ვფიქრობ, რომ სამართალდამცველები მართლები არიან, რომ არ ამწვავებენ ამ სიტუაციას და ნაციონალების მხრიდან უფრო ცივილური და კონსტრუქციული იქნებოდა, უფრო ნორმალურ კალაპოტში მიმდინარეობდეს ეს ყველაფერი. მე მგონია, რომ როგორც არჩევნების დროს და შემდეგ დღეებში მიხვდნენ ვითარებას და აღიარეს დამარცხება, თუმცა მანამდე ვერ აღიქვამდნენ რეალობას და ამ 9 წელმა ჩამოუყალიბა არაადეკვატური წარმოდგენები, ისევ იქ არიან და არ უნდათ თავი დააღწიონ ამ ყველაფერს.

***— კოჰაბიტაციაო და რამდენად შედგა ეს კოჰაბიტაცია?***



— შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად, მაგრამ ახლა იწყება რაღაც აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესი.

***— რას იტყვით იმ შეთავაზებებზე, რომელიც როგორც პრემიერის, ისე პრეზიდენტის მხრიდანაც წამოვიდა? დათმობაზე წავა სააკაშვილი?***

— პრემიერ-მინისტრის წინადადებები აბსოლუტურად მისაღებია, თუ მართლაც რამე ჯინიანობა არ არის, რა არის იქ მიუღებელი?! რჩება შთაბეჭდილება, რომ სერიოზული ვაჭრობა მიდის და როგორ მოიქცევა სააკაშვილი, ეს რთულად პროგნოზირებადი საკითხია. სააკაშვილს თავის ლოგიკა აქვს და, მით უმეტეს, ახლა, ამ სიტუაციაში. ამიტომ რაიმეს თქმა ძნელია. მე იმედი მაქვს, რომ რაღაც გამოსავალი მოიძებნება ამ სიტუაციიდან.

***— მთავარი სავაჭრო თემა კონსტიტუცია და მასში განსახორციელებელი ცვლილებებია?***

— მე ვფიქრობ, რომ მთავარი თემა სინამდვილეში არის მათი ხელშეუხებლობის გარანტიები. ნაციონალები უფრო ამაზე ვაჭრობენ, მე ასე მგონია. იქ სხვა სავაჭრო ისეთი არაფერი არ არის.

***— როდესაც იკვეთება სერიოზული დანაშაული, მეორე მხარე რამდენად უნდა დათანხმდეს ამ ვაჭრობას?***

— სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში ალბათ არანაირ ვაჭრობაზე არ უნდა იყოს საუბარი. ახალმა ხელისუფლებამაც შესაბამისად ეს ყველაფერი მტკიცებულებებით და დამაჯერებლად უნდა წარადგინოს. ამ მხრივ რამდენიმე შეცდომა მოუვიდა ახალ ხელისუფლებასაც. სხვა არის განწყობა, სხვა არის, რა ხმები დადის საზოგადოებაში და სხვა არის, როდესაც ეს გადადის იურიდიულ საქმეში.

***— ჩემი გამოკეტვა უნდათ ბუნკერშიო, რამდენად ექმნება სააკაშვილს გადაადგილების საფრთხე და პრობლემები?***

— არა მგონია, რომ გადაადგილების პრობლემა ჰქონდეს, მაგრამ იმ ტიპის მოქმედებებისგან, რაც ჩვენ ვნახეთ, მან ყველანაირად თავი უნდა შეიკავოს. ვერ გავიგე, ეს უსიამოვნებები რაში სჭირდება.

***— წესით არ უნდა გადამდგარიყო, როდესაც ხედავს, რომ ასეთ სერიოზულ პრობლემებს ქმნის ქვეყანაში?***

— გადადგომით, ალბათ, ის არ გადადგება, მაგრამ ოცნებისთვის სრული კარტბლანში უნდა მიეცა, ეს თავად ოცნებისთვისაც უფრო მომგებიანი იქნებოდა და ოცნებას მიეცემოდა საშუალება, თავისუფლად ემოქმედა ყველა მიმართულებით. დღეს ნაციონალები პრეტენზიებით გამოდიან, რატომ ვერ ასრულებთ დანაპირებსო, ჯერ ერთი, სამ თვეში რა დაპირებების შესრულებაზეა საუბარი და მეორეც, გვერდზე თუ გადგებოდნენ, მათი პრეტენზიები უფრო ლოგიკური იქნებოდა.

***— პრემიერი თვლის, რომ მისმა მთავრობამ დანაპირები გადაჭარბებითაც კი შეასრულა და ასეა?***

— კი, ასეა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გააკეთეს. ძალიან დიდი და სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. თავისთავად, ჯერ ეს ცვლილება პრობლემაა და მერე კიდევ ძალიან ბევრი პრობლემა დახვდათ. რაღაცები შეიძლებოდა უფრო ეფექტურად გაკეთებულიყო, წმინდა სახელმწიფოებრივ საკითხში დაჩქარებულად ყოფილიყო. ახლა რომ არის წინადადება საკონსტიტუციო კომისიის შექმნაზე, ეს შეიძლებოდა გაკეთებულიყო და კიდევ სხვა რამ, მაგრამ პრინციპში, მართლაც ბევრი რაღაც კეთდება ამ მოკლე დროში. ამას ვინ ელოდა. სურვილი კი ყველას ჰქონდა, რომ 2 ოქტომბერს უკვე აყვავებული ყოფილიყო ვითარება. მე ვფიქრობ, რომ თანმიმდევრულად, მიზანდასახულად მუშაობენ. რეალურად ორი თვეა, რაც მუშაობას შეუდგნენ. მე არ ვიცი ხელისუფლება, რომელიც ორ თვეში ძირეულ გარდატეხებს მოახდენდა. ჩანს, რომ სწორი მიმართულებით მიდიან.

***— ივანიშვილს ბევრი საყვედურობს ზედმეტი გულახდილობისთვის, თქვენ რამდენად მოგწონთ მისი პირდაპირობა და გულახდილობა?***

— რა გითხრათ, ასეთი ადამიანია რა, ზოგისთვის უჩვეულოა, მაგრამ ასეთი ადამიანია. მე ვფიქრობ, რომ ხალხში უფრო კეთილგანწყობას იწვევს ასეთი გულახდილობა, ვიდრე სხვა რაღაცა. ტყუილი არ უნდა თქვას პოლიტიკოსმა, შეიძლება თავი შეიკავოს, რაღაცას გვერდი აუაროს. ის არ თვლის ასე და ამით ჯერჯერობით არაფერი არ დაშავებულა. შიდა ვითარებაში ამას არაუშავს, აი, საგარეო პოლიტიკაში ყველაფერს ვერ იტყვი...

***— საპრეზიდენტო კანდიდატს რაც შეეხება, ბატონო აკაკი, ჩვენ ვნახეთ, რომ ამას გარკვეული დაპირისპირებაც მოჰყვა კოალიციის შიგნით. ისიც კი ითქვა, რომ ალასანიასა და ივანიშვილს შორის მიზანმიმართულად ძაბავენ სიტუაციას ისევ კოალიციის შიგნიდანო...***

— ვერ გეტყვით, რამდენად შიგნიდან ძაბავენ. ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრის აჟიტირება პრემიერის მხრიდან არ იყო სწორი. ალასანიას შეცდომაზე იყო საუბარი, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა იყოს კოალიციაში განხილვის საგანი. ალასანიას შეეძლო ამაზე ემსჯელა თავის პარტიაში, მაგრამ კანდიდატი კოალიციამ უნდა დაასახელოს, ეს რომ კოალიციის შიგნით განეხილა, ბევრი გაუგებრობა ასცდებოდა ალასანიას.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რაში უნდა დასჭირვებოდა ალასანიას იგივე ნაციონალებთან მალულად შეხვედრა?***

— მოხდა კი ეს შეხვედრა?... არ გამოვრიცხავ, რომ დაინტერესებული ადამიანები ავრცელებენ ამ ხმებს.

***— რამდენად კარგი კანდიდატი იქნებოდა ალასანია? ითქვა, რომ ის აღარ იქნება კოალიციის მხრიდან პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებული...***

— ითქვა, რომ კოალიციისგან არ იქნება, თორემ მას შეუძლია დაასახელოს საკუთარი კანდიდატურა. იცით, პრეზიდენტის პოსტი ისეთი იქნება, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობა მას მართლა აღარ აქვს. ფაქტია, რომ კომპეტენტური და მისაღები პიროვნება უნდა იყოს, თუმცა რა მდგომარეობაშიც ჩვენ გადავდივართ, პრესიდენტს დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. პრაქტიკულად იცვლება სახელმწიფო მოწყობა. მე მომხრე ვარ საპარლამენტო რესპუბლიკის, ამიტომ ვთვლი, რომ სრული კარტბლანში აქვს საპარლამენტო ხელისუფლებას, პრეზიდენტი აქ უკვე ის ფიგურა აღარ არის, რისთვისაც ასეთი თავგამოდებული ბრძოლა ღირდეს.

***— საუბარია ვახტანგ ხმალაძეზე და დიდი ვარაუდია, რომ ის იყოს ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი. საუბრობენ იმაზეც, რომ ამ შემთხვევაში რესპუბლიკელები აიღებენ მთლიანად მართვის სადავეებს ხელშიო, რადგანაც პარლამენტის თავმჯდომარეც რესპუბლიკელია. რამდენად იქნება ასე?***

— ვერ აიღებენ, როგორ აიღებენ? ჯერ ერთი, რესპუბლიკელები საკმაოდ კონსტრუქციულები არიან როგორც შიგნით, ისე შიდა პოლიტიკურ სიტუაციებში. დავით უსუფაშვილი რომ ძალიან კარგი თავმჯდომარეა, ეს არის ფაქტი, მე მათი დაშავებული არაფერი ვიცი და მათი პოზიციებიც მისაღებია. მე ვერ ვიტყვი იმას, რომ რაიმე საშიშროება იყოს. ვთქვათ, ხმალაძე ხდება პრეზიდენტი, ამით როგორ აიღებენ სრულ მმართველობას? ასე არ იქნება. პრემიერი ხომ ფიქრობს ამ ყველაფერზე. თანდათანობით ალბათ უფრო გამოიკვეთება, რა სახეს მიიღებს ეს ყველაფერი.

# სააკაშვილი და უსუფაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში შეხვდნენ ერთმანეთს

ოთარ ნინიაშვილი

გუშინ, 11 თებერვალს, პრეზიდენტ სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენციაში პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის შეხვედრა შედგა. შეხვედრას უმცირესობის ლიდერი, დავით ბაქრაძეც ესწრებოდა.

შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ პრესკონფერენცია გამართეს.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ დისკუსიამ უნდა გადაინაცვლოს პარლამენტის კედლებში და არა ქუჩებში. მისი თქმით, ქუჩებში ჩხუბიდან ბევრად უფრო კატასტროფულ მოვლენებამდე ნახევარი ნაბიჯია.

„დღეს ჩვენ გვქონდა საქმიანი შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან და უმცირესობის ლიდერთან. უკიდურესად შეშფოთებული ვარ, რაც მოხდა ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, როცა ადგილი ჰქონდა მასობრივ ეგზეკუციას ციხიდან გამოსულ კრიმინალთა ბანდის მიერ და არა ხალხის მიერ ოპოზიციის მიმართ. ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ, რომ ეს აღარ განმეორდეს. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ დისკუსიამ გადაინაცვლოს პარლამენტის კედლებში და არა ქუჩებში. ქუჩებში ჩხუბიდან ბევრად უფრო კატასტროფულ მოვლენებამდე ნახევარი ნაბიჯია და ჩვენ აღარასდროს უნდა მივიდეთ ასეთ ზღვარზე, სადაც საქართველო 90-იან წლებში იყო. ეს იყო ჩვენი პრინციპული მოსაზრება და ბატონი დავითი იზიარებს ჩვენს შეშფოთებას“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისივე განმარტებით, „ვერ იტყვის, რომ ყველაფერზე ჩამოყალიბდნენ და შეთანხმდნენ“. „მას აქვს თავის პოზიცია, ჩვენ — ჩვენი და ვფიქრობთ, რომ გაგრძელდება დისკუსია. მთავარია, რომ ასეთი დიალოგი უნდა გაგრძელდეს. განხილვები იქნება როგორც უმცირესობის შიგნით, ასევე უმრავლესობის შიგნით პრემიერ-მინისტრთან“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკის წინ შეკრებული ადამიანების მისამართით პრეზიდენტის მხრიდან გამოთქმული ეპითეტი დავით უსუფაშვილმა არ გაიზიარა. მან განაცხადა, რომ იქ კრიმინალთა ბრბო არ დაუნახავს. პრეზიდენტთან მოლაპარაკებების შემდეგ უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ მან ხელი პარლამენტში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების გათავისუფლებას მოაწერა, ხოლო ის, რაზეც შეთანხმდნენ, ისაა, რომ მსგავს ინციდენტს ქვეყანაში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

„ჩვენ არ გვისაუბრია იმაზე, რაზეც პრეზიდენტმა დასაწყისში ისაუბრა. ჩვენ ამაზე არ ვთანხმდებით და ვერ შევთანხმდებით. იმ აქტით, რომელსაც ხელი მოვაწერე, თავისუფლება მიიღეს სწორედ პოლიტიკურმა პატიმრებმა და დევნილებმა. საჯარო ბიბლიოთეკასთან კრიმინალთა ბრბო არ დამინახავს. იქ იყო შეკ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გია თორთლაძე დაკითხვაზე გამოცხადდა

დეოკუპაციის ცენტრის დირექტორი და ყოფილი დეპუტატი გია თორთლაძე გუშინ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზე მივიდა.

როგორც დაკითხვის დაწყებამდე, ჟურნალისტებთან საუბრისას თორთლაძემ განაცხადა, მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლია, რადგან ივანიშვილს ხშირად აკრიტიკებდა.

მისი თქმით, ავტომობილი „ლენდ კრუიზერ პრადო“, რომელიც დეოკუპაციის ცენტრს კულტურის სამინისტრომ გადასცა, კულტურის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე მარგიშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების მითითებით გაყიდა, შემდეგ კი აღებული თანხა მათ მიერ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხა.

„მანქანა მომსახურების სააგენტოში გადაფორმდა, გადახდის ფურცელი კი კვლავ კულტურის სამინისტროს ჩაბარდა. აბსურდულია ბრალდება, თითქოს სახელმწიფო ქონება თვითნებურად გავასხვისე და მიღებული თანხა პირადი მიზნით მოვიხმარე. ჩემი უდანაშაულობის დამამტკიცებელი შესაბამისი დოკუმენტაცია არსებობს. ყველაზე სიმბოლური არის ის, რომ საქმეზე პროკურატურაში გამოძიება დაიწყო მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილის მოთხოვნით, რომელმაც მანქანის გაყიდვა პირადად მიმითითა“,-განაცხადა გია თორთლაძემ.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დეოკუპაციის ცენტრისათვის საქართველოს კულტურის სამინისტროდან გადარიცხული თანხების არამიზნობრივად ხარჯვის თაობაზე დაიწყო გამოძიება. გამოძიების მასალებით 2012 წლის 5 დეკემბერს დეოკუპაციის ცენტრს, რომელსაც გია თორთლაძე ხელმძღვანელობს, კულტურის სამინისტროდან 350 ათასი ლარი ჩაერიცხა, პროექტის „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ განსახორციელებლად. ამავე პროექტის ფარგლებში, ცენტრს სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცა105 ათასამდე ლარის ღირებულების ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო“. საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გია თორთლაძემ, კანონის დარღვევით, 2013 წლის 4 იანვარს ეს ავტომანქანა 50 ათას დოლარად გაასხვისა და თანხა პირადი მიზნებისთვის მოიხმარა. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 7-დან 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველოში პრივილეგირებული კასტა აღარ იარსებებს“

შორენა მარსაგიშვილი

8 თებერვალს მომხდარი ინციდენტის გამო, თბილისის მერს ჩვენების მისაცემად იბარებენ. გიგი უგულავა იმ დღეს ზომაზე მეტად იქნევდა ხელებს და საეჭვოდ იქცეოდა. მოგვიანებით სცადა თავისი მოქმედებების განმარტება, მაგრამ ეს შს სამინისტროსთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ირაკლი ღარიბაშვილის უწყებამ უგულავას დაკითხვაზე უხმო. თბილისის მერს დაკითხვაზე სიარული არ უყვარს. ალბათ, გახსოვთ, რა ამბავი ატეხა, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა რომ დაიბარა. იმდენი ქნა, თავისთან მიიყვანა გამომძიებლები. ღარიბაშვილის ხალხსაც იგივე შეუთვალა. ელოდა კიდევაც მერიაში გამომძიებლებს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ღარიბაშვილი კერკეტი კაკალი გამოდგა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დედაქალაქის მერს, გიგი უგულავს, დაკითხვაზე გამოცხადებისკენ მოუწოდა. არგამოცხადების შემთხვევაში კი, მის მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გატარების შესახებ გააფრთხილა.

— მიუხედავად იმისა, რომ ძველი თბილისის რაიონულ პოლიციაში ქალაქ თბილისის მერი, ბატონი გიგი უგულავა მოწმის სახით დაკითხვაზე იყო დაბარებული, იგი საგამოძიებო ორგანოში არ გამოცხადდა, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა.

მართალია, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწმის სახით წინა სასამართლო გამოძიების ეტაპზე პირის დაკითხვა და მისი იძულებით მოყვანა საგამოძიებო ორგანოში არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ეს ახალი წესი ამოქმედდება 2013 წლის 1 დეკემბრიდან, როგორც ეს მითითებულია დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველ ნაწილში.

დღეისათვის გამოძიების ეტაპზე დაკითხვასთან დაკავშირებით მოქმედებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის I ნაწილით დადგენილი იმპერატიული წესი, რომლის თანახმად, მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით. ის ვალდებულია სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გარშემო იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მოყვანილი. 1998 წლის 20 თებერვლის კოდექსის 175-ე მუხლი ადგენს პირის იძულებით მოყვანის წესს, კერძოდ, გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე, წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით, გასცემს ბრძანებას პირის იძულებით მოყვანის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებაზე უარის თქმა არის სისხლის სამართლის დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის თანახმად, მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც ითვალისწინებს 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.



სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლში მოცემულია იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომელთა ბრალდებულად ცნობა საქართველოს პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს სპეციალურ თანხმობას მოითხოვს. ამ ჩამონათვალში არ არის ქალაქის მერი. გამოძიება აფრთხილებს ქალაქის მერს, ბატონ გიგი უგულავას, თუ ის არ შეასრულებს მისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს და არ გამოცხადდება ჩვენების მისაცემად, მისი უმოქმედობა მიჩნეული იქნება, როგორც მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმა და მის მიმართ გატარდება საპროცესო კანონით გათვალისწინებული იძულების ღონისძიებები, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურა თბილისის მერი. მას, მოგეხსენებათ, არაფრის არ ეშინია, მაგრამ დაკითხვაზე მაინც არ აპირებს წასვლას, შსს-ს ქმედებას კი სამარცხვინოდ მიიჩნევს. შექმნილ ვითარებას თბილისის მერი ცოტა ფილოსოფიურადაც უდგება და ამბობს, რომ ახალ ხელისუფლებას ხელში მხოლოდ ძალა უპყრია და არა სიმართლე.

— საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დღეს დაადასტურა, რომ საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას უკვე ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. ასევე მინისტრი ცრუობს, როდესაც აცხადებს, რომ მე უარს ვამბობ დაკითხვაზე, მე უარს ვამბობ მხოლოდ პოლიციაში მისვლაზე და ამით, პირველ რიგში, რიგითი პოლიციელებისა და გამომძიებლების ღირსებას ვიცავ, რადგან არ მსურს, რომ ისინი კიდევ ერთხელ გახდნენ ივანიშვილისა და ღარიბაშვილის ინსტრუმენტები ოპოზიციასთან ბრძოლაში. ჩემი დაკითხვა მხოლოდ თვალთმაქცობის მიზნით ხორციელდება. მე ჩემ აზრს არ ვიცვლი და გამომძიებელს კვლავ თბილისის მერიაში ველოდები. თუ შინაგან საქმეთა მინისტრს საკუთარი და მისი უწყების ღირსების დაცვა უნდოდა, ეს მას საჯარო ბიბლიოთეკასთან უნდა განეხორციელებინა და დანაშაულებრივი უმოქმედობისკენ პოლიციელებისთვის არ უნდა ებიძგებინა, ხოლო სიტუაცია სამართავად ნანა კაკაბაძისთვის არ უნდა გადაეცა. დღეს ირაკლი ღარიბაშვილის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის, პოზიცია სამარცხვინოა, — აცხადებს თბილისის მერი გიგი უგულავა.

თბილისის მერის საქციელს ირაკლი ღარიბაშვილმაც სამარცხვინო უწოდა. მისი თქმით, დასრულდა ის დრო, როცა მავანი პრივილეგიებით სარგებლობდა.

— კანონი ყველასთვის უზენაესია, ხოლო კანონის წინაშე ყველა თანაბარია, იქნება ეს გიგი უგულავა თუ ნებისმიერი სხვა მოქალაქე. ჩემთვის, უბრალოდ, გაუგებარია და ძალიან სამარცხვინოც, როდესაც თბილისის მერი დაკითხვაზე გამოცხადებისგან თავს იკავებს. როგორც ჩანს, საქართველოში წინა ხელისუფლების დროს არსებობდა პრივილეგირებულთა კასტა, რომელიც ჩვენი ხელისუფლების დროს აღარ იარსებებს. ყველას მოვუწოდებ, რომ პირველ რიგში კანონს პატივი სცენ და კანონის უზენაესობა აღიარონ, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ბოლო დროს თბილისის მერს თავზე ცუდად დასტრიალებენ ხადურის, კბილაშვილის და ღარიბაშვილის სმაილიკები. დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა მის მიერ ნაცაქტივისტებისა და ყოფილი დეპუტატების დასაქმებას.

თბილისის ფორუმზე ის ჩვენება გამოქვეყნდა, რომელიც ამ საქმეზე უგულავას მოადგილემ ტარიელ ხიზანიშვილმა მისცა. აი, რას აცხადებს ხიზანიშვილი:

— 2009 წლის ბოლოს დამიბარა ქალაქ თბილისის მერმა გიორგი უგულავამ, მე ავედი მასთან მის სამუშაო კაბინეტში, 21-ე სართულზე. შეხვედრას ვესწრებოდით მხოლოდ ჩვენ ორნი — უგულავამ მითხრა, რომ 2010 წლის დაგეგმილ ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებზე წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის საჭირო იყო ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების სახელფასო უზრუნველყოფა. ამ მიზნით მან დამავალა, რომ ჩემი კურატორობის ქვეშ მყოფ შპს „თბილსერვის“ ჯგუფში ჩამომეყალიბებინა ერთი განყოფილება, სადაც ფორმალურად გაფორმდებოდნენ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები და ხელფასის სახით მიიღებდნენ გარკვეული ოდენობის თანხას.

უგულავამ დამავალა, რომ ასოციაცია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობიდან გადამეყვანა ის პარტიული აქტივი, რომლებიც უნდა დანიშნულიყვნენ შპს „თბილსერვის“ ჯგუფში გახსნილ განყოფილებაში თანამშრომლებად.

ნინო თევდორაძემ, რომელიც იმ პერიოდში საკრებულოს აპარატს ხელმძღვანელობდა, გადმომცა აქტივისტების საშტატო განრიგი და ხელფასთა ნუსხა, რომელიც შეთანხმებული იყო გიგი უგულავასთან. 514 საშტატო ერთეული, აქედან განყოფილების უფროსი — ხელფასი 1650 ლარი, განყოფილების უფროსის მოადგილე 2 საშტატო ერთეული - ხელფასი 1320 ლარი. 10 საშტატო ერთეული მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე - ხელფასი 1100 ლარი. წამყვანი სპეციალისტი 500 საშტატო ერთეული - ხელფასი 400 ლარი. ერთიც ოპერატორი - ხელფასი 750 ლარი.

გამოძიებით დადგინდა, რომ მხოლოდ „თბილსერვის“ ჯგუფის 1 განყოფილებიდან, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ყოველთვიურად ფინანსდებოდნენ 216 075-ლარით.

**„თბილსერვისის“ სამეთვალყურეო საბჭოში შედიან:**

1) ბადრი ბასიშვილი;
2) ეკა ხერხეულიძე;
3) ირაკლი ქავთარაძე;
4) გიორგი ხახნელიძე;
5) მამუკა ხერხეულიძე

**ასეთივე სქემა მოქმედებდა „სინათლის ქალაქშიც“, რომლის სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებულები იყვნენ:**

1) ლადო ვარძელაშვილი;
2) კობა ხაბაზი;
3) კოტე გაბაშვილი;
4) ლაშა მაქაცარია;
5) მაკა მეტრეველი;
6) მამუკა სანებლიძე;
7) ქეთევან მჭედლიშვილი;
8) ირმა ნებიერიძე;
9) გიორგი სულხანიშვილი;
10 დავით ჯანიაშვილი

**მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმებულები არიან და მათი ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 5000 ლარს.**

1) გიორგი ასანიძე;
2) ხათუნა ოჩიაური;
3) კოკა სეფერთელაძე;
4) ლაშა დამენია;
5) ზაალ გამცემლიძე;
6) რუსუდან კერვალიშვილი

უგულავას, როგორც ამბობენ, ბევრ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. მათ შორის იმ დროზე, როცა უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო. ალბათ ყველას გახსოვთ ფეხბურთელ რატი ალექსიძის მანქანის ისტორია.

ნაციონალებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ორიგინალური იდეები გამოამჟღავნეს. რამდენიმე ათას ადამიანს მანქანები ჩამოართვეს. მათ შორის იყო რატი ალექსიძე. მანქანები საჯარიმო სადგომებზე გადაიყვანეს.

ერთ მშვენიერ დღეს, ფეხბურთელმა თავისი მანქანა შენიშნა ქუჩაში. ამ მანქანით უგულავას ოჯახი სარგებლობდა. ალექსიძემ მანქანა გააჩერა და იქიდან უგულავას ცოლი და მათი მძღოლი გადმოსვა. მძღოლი კობა სუბელიანი გახლდათ. ამ ამბავს დიდი რეზონანსი მოჰყვა, მაგრამ მალევე გადაიფარა.

# თქვენი ზონდერი ჩვენსას სჯობია

შორენა მარსაგიშვილი

ოპოზიციაში გადასული ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისგან ზეწოლას უჩივის. 8 თებერვლის ინციდენტის შემდეგ ამ განცხადებებმა კიდევ უფრო ტრაგიკული სახე მიიღო. მომხდარს უცხოური მედიაც ეხმიანება და ნაციონალების მსგავსად ისინიც შეშფოთებული არიან.

ის რაც საჯარო ბიბლიოთეკასთან მოხდა, მართლაც მძიმე და შემაშფოთებელი ფაქტია. ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი „ქართულმა ოცნებამ“ მოაწყო. გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა განაცხადა, რომ იმ დარბევაში ღარიბაშვილის ზონდერები მონაწილეობდნენო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაც მოხდა, დასაგმობია, მაგრამ ისიც უხერხულია, ნაციონალები ზონდერებზე რომ საუბრობენ.



ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ საქართველოში ზონდერ-ბრიგადების შექმნა ნაციონალებს უკავშირდება. ეს ჯგუფები სააკაშვილმა ჯერ კიდევ საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს შექმნა. კარგად გვახსოვს ისიც, 2003 წლის შემოდგომაზე რა ცემა-ტყეპას ჰქონდა ადგილი, სადაც ნაციონალები გამოჩნდებოდნენ. ქვების სროლის პრაქტიკა მათი დამკვიდრებულია. ამ ხერხს პირველად 2003 წლის 14 აგვისტოს მიმართეს ბოლნისში. 2012 წლის ივლისში კი კარალეთში ატეხეს ქვების სროლა.

ამ საგმირო საქმეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ რაღაცები აუცილებლად უნდა გავიხსენოთ. ნაციონალები რატომღაც თავს გვახვევენ იმ მოსაზრებას, რომ უსისხლო რევოლუციით მოვიდნენ. არადა, როცა პარლამენტში შემოიჭრნენ, დროშის ტარებით თავი გაუხეთქეს ჯემალ გოგიტიძეს. აღარაფერს ვამბობთ, როგორ ჩამოხიეს და ფეხებით გათელეს სახელმწიფო დროშა. კრწანისის რეზიდენციასთან დროშის ტარებით გაუხეთქეს თავი ვახტანგ რჩეულიშვილს.

გლდანის ეკლესიის დარბევისა და აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის ოპერაციაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამიტომაც ამაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. არც იმაზე საუბრით შეგაწყენთ თავს, როგორ ხდებოდა ხალხისთვის ბიზნესის წართმევა. გაგახსენებთ, როგორ უსწორდებოდნენ დეპუტატებს.

ამის თვალსაჩინო მაგალითი ვალერი გელაშვილია. ამ ადამიანის წინააღმდეგ თბილისი ცენტრში, დღისით-მზისით სპეცოპერცია ჩატარდა. გელაშვილი ფაქტიურად მოკლეს. ის მართლაც სასწაულად გადარჩა ცოცხალი. მას ასე იმიტომ მოექცნენ, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ ამოიღო ხმა.

მაშინდელმა შს მინისტრმა მერაბიშვილმა თქვა, რომ ამ საქმის გამოძიება მისი ღირსების საქმე იყო. საქმე არავის გამოუძიებია. პარლამენტსაც არ ამოუღია ხმა. ნაციონალები კოლეგის ცემის გამო არც კი შეშფოთებულან. მეტსაც გეტყვით, მათ გელაშვილს დეპუტატის უფლებამოსილება მოუხსნეს.

2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის დროსაც რამდენიმე დეპუტატი გაილახა. მათ შორის იყო ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც პარლამენტის წინ შიმშილობდა. ტელეკომპანია „იმედის“ დარბევაც ბევრ რამეზე მიუთითებდა. ეს საქმე დღემდე გამოძიებული არ არის.

ზონდერების აქტიურობის ოქროს ხანად 2009 წლის აქციები შეიძლება დასახელდეს. კარგად გვახსოვს, როგორ ექცეოდნენ მაშინ აქციის მონაწილეებს. თბილისის პოლიციის სამმართველოსთან ხალხი რეზინის ტყვიებით დახვრიტეს.

იმავე წლის 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან ახალგაზრდების ჯგუფი ალყაში მოაქციეს და სასტიკად სცემეს. მაშინ მძიმედ დაშავდა ზურაბ აბაშიძე.

26 მაისის დარბევა კი საკუთარი ხალხის მიმართ სიძულვილის გამოხატვის უბადლო მაგალითი იყო. რაც იმ დღეს მოხდა, 1989 წელს როდიონოვსაც კი არ ჩაუდენია.

9 აპრილის ღამეს რუსმა სამხედროებმა აქციის მონაწილეებს გასაქცევად ერთი მხარე მაინც დაუტოვეს. 26 მაისს კი ალყაში მოაქციეს და ამოხოცეს. რუსთაველის გამზირი სისხლით იყო შეღებილი. პოლიციის თანამშრომლები ხმამაღლა ამბობდნენ, კიდევ კარგი წვიმს, თორემ ამდენ სისხლს რა გადარეცხავდაო.

კარგად გვახსოვს, რა კომენტარებს აკეთებდნენ შემდეგ ამაზე ნაციონალები. იგივე გოკა გაბაშვილი იყო საინტერესო.

— აქციის წინ ბაქი-ბუქს და აქციის დარბევის შემდეგ კრუსუნს მორჩითო, — ასე მიმართა გაბაშვილმა ოპოზიციას.

ღარიბაშვილს ჰყავს თუ არა ზონდერები, ვერ გეტყვით. ამას მომავალი გაარკვევს. ზოგი დეპუტატი ამტკიცებს, რომ პოლიტპატიმრებისგან შეიქმნა ზონდერჯგუფებიო. ის ხალხი ახლაღა გამოვიდა ციხიდან და საეჭვოა საზონდერო კურსები გაევლოთ. აი, ნაციონალების ზონდერები კი თბილისსა და გორში სპეციალურ სპორტსკოლებში ემზადებოდნენ. გორში ეს სკოლა უკვე დახურეს. ამ ზონდერების სახელები და გვარები ყველასთვის ცნობილია. ასე რომ, ნაციონალებს ურჩევნიათ საკუთარ ზონდერებზე აგონ პასუხი.

უმცირესობის დეპუტატები გაკვირვებით ამბობენ, ასეთი რამ, რაც 8 თებერვალს მოხდა, არ გვახსოვსო. ამაში მართლები არიან. მათი ზონდერები სხვანაირი სისასტიკით უსწორდებოდნენ ხალხს.

ნაციონალებს ბევრი ცუდი საქმე აქვთ ჩადენილი. ამაზე მათ აუცილებლად მოუწევთ პასუხისგაცემა. თუმცა ეს მეოცნებეებს იმის უფლებას არ აძლევს, რომ თავადაც ძალადობას მიმართონ.

7 ნოემბერმა და 26 მაისმა მოიტანა 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგები და თუ ოცნება ძალადობის გზას აირჩევს, მათაც შეცვლიან. შეცვლიან და ისეთივე დერეფნებს მოუწყობენ, როგორც ახლა ნაციონალებს უწყობენ. ძალადობა უარეს ძალადობას შობს. ეს ოცნებასაც უნდა ახსოვდეს და ნაციონალებსაც.



# სოზარ სუბარი ჟურნალისტებს ციხეში არ შეუშვებს

ნათია ხურცილავა

ციხეებში მონიტორინგის მიზნით ჟურნალისტების შესვლა ახალი ხელისუფლების პირობებში, როგორც ჩანს, შეუძლებელი იქნება. თუმცა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი, სოზარ სუბარი პირობას დებს, რომ საჭიროების შემთხვევაში სწორედ ის იქნება გარანტი, რომ ჟურნალისტები ციხეებში აუცილებლად შევლენ.

— როცა საჭირო იქნება, რომ ციხეში ჟურნალისტები უნდა შევიდნენ, პირადად მე ვიქნები გარანტი იმისა, რომ ასეც მოხდება. რა თქმა უნდა, იქ იქნება შეზღუდვები და პირდაპირ ეთერს ვერავინ მოაწყობს, თუმცა ციხე მედიის წარმომადგენლებისთვის ჩაკეტილი ნამდვილად არ იქნება. გარდა ამისა, არსებობს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფი, რომელიც ექსპერტებით დაკომპლექტდება და სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მუდმივ მონიტორინგს გაუწევს. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, შეიქმნება სასჯელაღსრულების დაწესებულების მონიტორინგის ჯგუფი, რომელთა შორის ჟურნალისტები, სავარაუდოდ, არ იქნებიან. სახალხო დამცველი მონიტორინგის ახალ ეტაპზე საუბრობს, რომლის ფუნქციაც სისტემატური მონიტორინგი იქნება და არა მხოლოდ ინფორმაციის გამოტანა.

ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც გიორგი ტუღუშის სასჯელაღსრულების მინისტრობის პერიოდში შეიქმნა, პრევენციის მექანიზმის ექსპერტები ჩაანაცვლებენ.

გუშინ სოზარ სუბარი და უჩა ნანუაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

როგორც გაირკვა, ახალი მონიტორები არა სასჯელაღსრულების სამინისტროს დაქვემდებარებაში, არამედ სახალხო დამცველის დაქვემდებარებაში იქნებიან. როგორც უჩა ნანუაშვილმა არასამთავრობოებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერთა სია შედგება კონკურსის საფუძველზე და დაახლოებით 30-კაციანი მონიტორების ჯგუფი გააკონტროლებს, ისევე როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებს, ასევე სხვადასხვა ტიპის დახურულ დაწესებულებებს, როგორიც არის ფსიქიატრიული საავადმყოფო, ბავშვთა სახლები და დროებითი მოთავსების იზოლატორი.




სახალხო დამცველის განცხადებით ჯგუფი იქნება მუდმივი, თუმცა მის წევრებს ექნებათ მონიტორინგის განხორციელების გარკვეული ვადები.

— სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით, გადახალისდება და საზოგადოებრივი მონიტორინგის გაძლიერების მიზნით კიდევ უფრო გაფართოვდება ეროვნული პრევენციის მექანიზმში მონაწილე ექსპერტთა სია. აღნიშნულ სიაში მოხვედრა შეეძლება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს და შერჩეული იქნება საზოგადოების მხრიდან მაღალი სანდოობის მქონე კომისიის მიერ. ყოვლისმომცველი, ეფექტური, ობიექტური და დამოუკიდებელი მონიტორინგის განხორციელებისთვის ხსენებული სია გააერთიანებს სხვადასხვა პროფილის მქონე ექსპერტებს, კერძოდ, სასჯელაღსრულების სფეროში მონიტორინგის მქონე იურისტებს, რომლებიც არ ეწევიან კერძო საადვოკატო საქმიანობას და სხვა პირებს, ასევე საერთო პროფილის მქონე ექიმებს, რომელთაც გააჩნიათ წამების არასათანადო მოპყრობის კვალის იდენტიფიცირების გამოცდილება, ფსიქიატრებს, ასევე ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკს, არასრულწლოვანთა, მართლმსაჯულების სფეროში გამოცდილების მქონე ექსპერტს, სამხედრო ჰაუბახტებისა და ნაწილების მონიტორინგის ექსპერტს, გენდერის საკითხებზე მომუშავე ექსპერტს, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ექსპერტებს რეგიონებიდან. — აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

ჟურნალისტებისთვის მთავარი კითხვა იყო — თუ რატომ არ არიან მედიის წარმომადგენლები იმ ჩამონათვალში, რომლითაც დაკომპლექტდება ახალი მონიტორთა ჯგუფი?

სახალხო დამცველის პასუხი ასეთი იყო: ჩამონათვალის პირველ ნაწილში, რომელიც სასჯელაღსრულების სფეროში მონიტორინგის გამოცდილების მქონე იურისტებსა და სხვა პირებს გულისხმობს, „სხვა პირები“ არ არის გამორიცხული, რომ იყვნენ მედიის წარმომადგენლები, თუკი მონიტორინგის გამოცდილება აქვთ.

სოზარ სუბარის განცხადებით, არც ერთ ქვეყანაში ჟურნალისტები მონიტორინგის ჯგუფში არ არიან წარმოდგენილნი და ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის.

— თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტები პირდაპირ ეთერებს ციხიდან გააკეთებენ, მაგრამ გარკვეული პერიოდულობით მე უზრუნველვყოფ, რომ მედიის წარმომადგენლებს ციხეში შესვლის საშუალება მიეცეთ. ყოველი პატიმრის შიმშილობა საზოგადოების განხილვის საგანია. მსოფლიოს ნებისმიერ ციხეში ყოველ დღე ხდება რაღაც; ზოგი შიმშილობს, ზოგი პირს ამოიკერავს, ყველას გარეთ უნდა ყოფნა. უნდა წავიდეთ იმ გზით, რა გზითაც მთელი მსოფლიო მიდის. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

როგორც ცნობილი გახდა, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება,

სასჯელაღსრულების სფეროში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე არ შემოიფარგლოს მხოლოდ ყოველწლიურად პარლამენტისადმი წარდგენილი ან სასჯელაღსრულების სფეროში არსებული სიტუაციის ანგარიშით და ყოველკვარტალურად მონიტორინგის შედეგების შესახებ მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია სპეციალური ყოველკვარტალური ბიულეტენების მეშვეობით.

რაც შეეხება ახალი მონიტორინგის ჯგუფის დაქვემდებარების შეცვლას, სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა აღნიშნა, რომ საკუთარ თავს თვითონ არ უნდა აკონტროლებდეს და ამას უნდა უზრუნველყოფდეს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, მონიტორინგის ჯგუფის სიაში მოხვედრა შეეძლება, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც შესაბამის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს და საზოგადოების მხრიდან მაღალი სანდოობის მქონე კომისიის მიერ იქნება შერჩეული.

ომბუდსმენის განცხადებით, აღნიშნული სია დაკომპლექტდება სასჯელაღსრულების სფეროში მონიტორინგის გამოცდილების მქონე იურისტებისგან, რომლებიც კერძო საადვოკატო პრაქტიკას არ ეწევიან, ასევე საერთო პროფილის მქონე ექიმებისგან, რომლებსაც აქვთ წამების, არასათანადო მოპყრობის კვალის იდენტიფიცირების გამოცდილება, ფსიქიატრებისგან, ფსიქოლოგებისგან, სოციალური მუშაკებისგან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გამოცდილების მქონე ექსპერტისგან, სამხედრო ჰაუპტვახტებისა და ნაწილების მონიტორინგის ექსპერტისგან, გენდერის საკითხებზე მომუშავე ექსპერტისგან და შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ექსპერტებისგან ქუთაისიდან, ბათუმიდან და ზუგდიდიდან.

# ალასანია თურქეთში ივანიშვილთან ერთად წავა

ნათია ხურცილავა

თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის თანამშრომლობას მიესალმება. ალასანია იმედს გამოთქვამს, რომ მხარეებს კოჰაბიტაციის ძალა აღმოაჩნდებათ.

თავდაცვის მინისტრი საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარდგენილ 14-პუნქტიან შეთავაზებაში თანამშრომლობის სწორი ორიენტირების გაჩენის პერსპექტივას ხედავს და ის პრესასთან საერთო ღირებულებებზე საუბრობს, რომელიც პოლიტიკის მიღმა უნდა იყოს.

— ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს. ჯარი და თავდაცვა პოლიტიკის მიღმაა. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ჯარი უნდა განვითარდეს ეროვნული ინტერესების შესაბამისად და აქ ვიწრო პარტიული ინტერესების ადგილი არ არის. მივესალმები ამ თანამშრომლობას, როგორც მთავრობის წევრი და დარწმუნებული ვარ, საზოგადოება და პოლიტიკური ძალები საკუთარ თავში ამისთვის ძალას აღმოაჩენენ. — განაცხადა ალასანიამ.

გუშინ ჟურნალისტებისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ თავდაცვის მინისტრი ბიძინა ივანიშვილთან ერთად თურქეთში მიემგზავრება. როგორც ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებს სამოქმედო გეგმის წარდგენის შემდეგ განუცხადა, საუბარი, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გარდა, თავდაცვის სამინისტროებს შორის ურთიერთქმედების გეგმესაც შეეხება.

მარტში კი თავდაცვის მინისტრი სომხეთსა და აზერბაიჯანს ეწვევა, სადაც რეგიონის უსაფრთხოების მიზნით სამხედრო თანამშრომლობა დაიგეგმება.

— რეგიონის უსაფრთხოებას ერთი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს. საჭიროა თანამშრომლობის ყველა ფორმატის ამოქმედება და საქართველო ამ კუთხით ერთ-ერთი წამყვანი იქნება. — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივი წვრთნებიც იგეგმება, რომელიც პერიოდულად იმართება.

იარკლი ალასანიამ ჟურნალისტებს ასევე განუცხადა, რომ საქართველო ტერიტორიულ მთლიანობას მშვიდობიანად მოაგვარებს. აღნიშნული განცხადება თავდაცვის მინისტრმა „მინისტრის ხედვის“ წარდგენისას გააკეთა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტი შეიმუშავა. 2013-2014 წლების „მინისტრის ხედვა“ — დოკუმენტის პრეზენტაცია



გუშინ გაიმართა. პრეზენტაციას არასამთავრობო სექტორის, დიპლომატიური კორპუსისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დოკუმენტში თავდაცვის უწყების პრიორიტეტები და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებებია გაწერილი. „მინისტრის ხედვა“ გასული წლების გამოცდილებას, არსებული საფრთხეებისა და საჭიროებების ანალიზს ეყრდნობა.

2013-2014 წლებში თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები ასე გამოიყურება: გამჭვირვალობის გაზრდა და სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება, თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება, ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების სისტემების განმტკიცება, ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება და ნატოსთან თავსებადობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. მომავალი ორი წლის განმავლობაში ეფექტიანი, მობილური, თანამედროვე და ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალები უნდა შეიქმნას.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესების ხედვა, რათა ისინი მზად იყვნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დასაცავად, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად.

„მინისტრის ხედვაში“, ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა სამხედრო მოსამსახურეთა განათლებას, წვრთნას, კარიერის მართვასა და სოციალურ დაცვას.

— ჩვენს სისტემაში დანერგილი იქნება გამჭვირვალობა, რათა საპარლამენტო ზედამხედველობის კუთხით, სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე უფრო ეფექტური იყოს. სამხედრო მოსამსახურეებზე ავლანეთში ხელფასები უკვე გავზარდეთ. ასევე, 1 თებერვლიდან ხელფასები 25%-ით საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების 89%-ს გაეზარდათ. არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, რათა თავდაცვის რეფორმირების პროცესში ეფექტურად ჩავრთოთ საზოგადოება. ის სისტემა, რომელიც ჩვენ დავნერგეთ, უზრუნველყოფს ეტაპობრივად სრულად გადასვლას პროფესიულ ჯარზე. ეს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში და ჩვენი ნატოსთან თავსებადობის კუთხით ძალიან დიდი წინსვლა იქნება. ვისაუბრეთ, ასევე, ჩვენს ევროატლანტიკურ სწრაფვაზე, პრემიერ-მინისტრის და მთელი მთავრობის დეკლარირებულ ხედვაზე. ჩვენი ადგილი არის ევროპაში, ევროატლანტიკურ სივრცეში და თავდაცვის სამინისტრო ამ პროცესის კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით და დინამიკით წინსვლაში თავის წვლილს შეიტანს. — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

# მაია ფანჯიკიძე; „ევროპა ქართველი ხალხის არჩევანია“

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ვერ ხედავს პრობლემას, რომ საქართველოს მთავარ კანონში — კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო კურსი იყოს დაფიქსირებული.

— მე არ ვარ საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი და ჩემს უფლებამოსილებებს აღემატება ვთქვა, თუ რა შეიძლება იდოს კონსტიტუციაში და რა არა — მაგრამ ქართველი ხალხის არჩევანი, რომელიც არის ევროპული გზა და რომელშიც ეჭვი არავის არ ეპარება, ჩემი აზრით, შეიძლება იყოს დაფიქსირებული კონსტიტუციაში, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მე ამის სპეციალისტი არ ვარ და ჩემს თავზე იმაზე მეტს ვერ ავიღებ რაც შემიძლია. — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე გამოეხმაურა უმრავლესობის მიერ, კონკრეტულად პარლამენტის საგარეო კომიტეტის მიერ შემუშავებულ 14-პუნქტიან ინტერფრაქციულ დოკუმენტს და როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, ეს არის ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ბევრ საკითხს მოიცავს და ის მსჯელობას იმსახურებს.

— მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდება ეს დოკუმენტი. ეს არის პირველი შეთავაზება. მასზე მსჯელობა შეიძლება, თუ რა დარჩება ამ დოკუმენტში და რა არა. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან კარგი საფუძველი, ძალიან კარგი სამუშაო დოკუმენტი, რომელზედაც შეიძლება უფრო ფართო მსჯელობა გაიმართოს. — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

კითხვაზე, მიიღებს თუ არა ამ შეთავაზებას „ნაციონალური მოძრაობა“ — ფანჯიკიძე ფიქრობს, რომ ეს 14 პუნქტი აბსოლუტურად ყველაფერს მოიცავს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის.

— მე ვფიქრობ, თუკი კოჰაბიტაციის სურვილი გააჩნია „ნაციონალურ მოძრაობას“, ნებისმიერ დოკუმენტზე მუშაობა და მსჯელობა შეიძლება. ეს არის სწორედ ის პოლიტიკური კულტურა, რომელიც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ჩვენს ქვეყანაში. იმედი მაქვს, რომ ამ დოკუმენტზე მუშაობა ნამდვილად მოხდება. — ამბობს ფანჯიკიძე.

# 2008-2009 წლებში ანაკლიაში საკუთრების უფლების ხელყოფა პროკურატურის ჩარევით ხდებოდა

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 2008-2009 წლებში ანაკლიაში განხორციელებული საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

ორგანიზაციის ხელთ არსებული ინფორმაციით, ზემოხსენებულ პერიოდში პროკურატურის წარმომადგენლების ზეწოლის შედეგად მოქალაქეებს: გოჩა ქარდავას, გონელი ფუტკარაძეს და ზურაბ ჯიქიას მიატოვებინეს ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ. ასევე რეზო ჯღერიას, მურთაზ შონიას, დავით სხულუხიას მიწის გარკვეული ნაწილი სახელმწიფომ თვითნებურად მიისაკუთრა შესაბამისი კომპენსაციის გადახდისა და კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე. ჩამორთმეულ ტერიტორიებზე მოგვიანებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ გარკვეული ობიექტების მშენებლობა დაიწყო.

„საკუთრების უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და მისი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ არაერთხელ გამოაქვეყნა ანგარიში ანაკლიის საკურორტო ზონაში მოქალაქეთა მიმართ განხოციელებული კანონსაწინააღრმდეგო ქმედებების შესახებ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მოუწოდებს საქართველოს მთავარ პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება მოქალაქეთა მიმართ განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებზე. აგრეთვე, მოვუწოდებთ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, მიიღოს სასწრაფო ზომები მოქალაქეთა საკუთრებაზე შეზღუდული უფლების აღსადგენად.

ორგანიზაცია მზად არის სამართალდამცავ ორგანოებს და სამინისტროს გადასცეს ის დოკუმენტაცია, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ დაზარალებულებმა მიაწოდეს“, — ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

# სანდრო ბრეგაძე: „ადეიშვილს ნაციონალები ემუქრებიან“

ნონა ცაბაძე

***— დღეს მაინც ყველა იმის შთაბეჭდილების ქვეშაა, რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა და მათ შორის მეც. ეს იყო დიდი პროვოკაცია და პირდაპირ გეტყვით, რომ ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაიგეგმა, — აცხადებს ეროვნულების ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.***

— სიმართლე გითხრათ, არც ერთ ჭკუათმყოფელ ადამიანს არ სიამოვნებს ცემა-ტყეპის ყურება. მით უმეტეს, როცა ეს შენი ქალაქის ქუჩებში ხდება. თუმცა მეორეს მხრივ, ეს არის პრინციპი, რასაც დასთეს, იმას მოიმკი. არ უნდა გაუკვირდეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ის, რომ მათ ან მუშტი მოხვდებათ, ან ქუჩაში ვინმე შეაფურთხებს, ან რაღაცას მიაძახებს, იმიტომ, რომ მათ ისეთი დონის საშინელებები აქვთ ჩადენილი, რომ ამდენ ფაშისტურ პარტიას არ ჰქონდა ჩადენილი ჰიტლერის დროინდელ გერმანიაში, ან კომუნისტურ პარტიას — ლენინის დროინდელ საბჭოთა კავშირში. მე ვფიქრობ, რომ ადამიანები, რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში ნაწამები არიან ნაციონალური მოძრაობის ლიდერების ბრძანებებით, რა თქმა უნდა, არიან შურისძიებით აღვსილები, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების წინააღმდეგ. მათ თავის დროზე უნდა ეფიქრათ და განესაზღვრათ, რომ ადამიანების წამება და მათთვის ცხოვრების დანგრევა, ეს არ შეიძლება. როდესაც ახალგაზრდა 25-30 წლის კაცს 10-15 წლით აპატიმრებ და 9 წელი ციხეში იჯდა აბსოლუტურად უკანონოდ, ართმევ ქონებას, უნგრევ ოჯახს, მის შვილებს ქუჩაში ტოვებ და ამ ყველაფერთან ერთად ციხეში აწამებ და ამ ყველაფრის მერე ის გარეთ გამოდის და მას ისე აქვს ჯანმრთელობა შერყეული, რომ შეიძლება დღე დღეზე გარდაიცვალოს, რა თქმა უნდა, ეს ადამიანები პასუხს აუცილებლად მოგთხოვენ ქუჩაშიც, კინოშიც და ბიბლიოთეკაშიც. მე არაერთხელ გამიფრთხილებია ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, რომ ისინი ისე მოიქცევენ საქმეს, რომ არა მარტო მათ, არამედ მათ შთამომავლებს გაუჭირდებათ ნორმალურ საზოგადოებაში ცხოვრება. ამიტომ ეს ბუნებრივი პროცესია, თუმცაღა სამართალდამცავი ორგანოები და სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ ამის პრევენცია გააკეთოს და ეს აღკვეთილ იქნეს. მე ვფიქრობ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის საქციელი, როდესაც ის თავად მივიდა აქციაზე და თავადვე უზრუნველყო წესრიგის დამყარება, ეს არის სამაგალითო შინაგან საქმეთა მინისტრის საქციელი. თქვენ გინახავთ სადმე ვანო მერაბიშვილი ან სხვა ვინმე, მისულიყვნენ ოპოზიციის მიტინგზე და იქ ოპოზიცია დაეცვათ? ჩვენ ხომ ასეთი რამ არ გვახსოვს. მაგრამ ღარიბაშვილმა გადადგა აბსოლუტურად ლოგიკური და ვაჟკაცური ნაბიჯი, ის მივიდა და განმუხტა სიტუაცია.

***— რაც შეეხება თავად მომხდარ ფაქტს, ამაზე რას იტყვით?***

— ეს ფაქტი მე შემიძლია შევაფასო ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ პროვოკაციად.

***— ბატონო სანდრო, დღეს ამაზე ბევრს საუბრობენ, თავად შინაგან საქმეთა მინისტრმაც გააკეთა განცხადება, რომ გიგი უგულავამ პროფესიონალურად შეასრულა ეს პროვოკაციულად გაწერილი გეგმა. ასე იყო?***

— მე პირდაპირ გეტყვით, რომ ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაიგეგმა ეს ყველაფერი. ვანო მერაბიშვილის კაბინეტში დაიგეგმა მიხეილ სააკაშვილის უშუალო მითითებით. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მერაბიშვილი და ეს ხალხი არიან პროფესიონალი ავანტიურისტები და პროვოკატორები, მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე მათ ხომ არაფერი არ შეუქმნიათ ცხოვრებაში, ისინი მუდამ დაკავებულები იყვნენ პროვოკაციებით, ავანტიურებით და სახელმწიფოს გაღვლეპით. ისინი არიან პროფესიონალი პროვოკატორები და ეს დაიგეგმა მერაბიშვილის კაბინეტში. მე რამდენადაც ვიცი, ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე ლიდერმა უარი განაცხადა ამაში მონაწილეობაზე და თქვენ დააკვირდებოდით, რომ იქ არც დათო ბაქრაძე იყო, არც გიგი წერეთელი და არც მიხეილ მაჭავარიანი, ანუ შედარებით რბილი ფრთა არ იყო. მაგრამ იქ იყვნენ თავზე ხელახებული ჩიორები, სერგო რატიანები და ასე შემდეგ. შემდგომში, როდესაც გამოქვეყნდა კადრები, ჩვენ კარგად დავინახეთ, კობა ხაბაზი როგორ ურტყამს მომიტინგეებს, კანდელაკი როგორ ურტყამს და როგორ იქცევა პროფესიონალი პროვოკატორი გიგა ბოკერია. ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია იმისათვის, რომ თავი წარმოეჩინათ წამებულ რაინდებად, თუ როგორ უსწორდება ანტიდემოკრატიული რეჟიმი დემოკრატიულ ძალებს და ესე მიეწოდებინათ ეს მსოფლიოსთვის და მიაწოდეს კიდევაც. თუმცა რეალობა ის არის, რომ ეს წინასწარ იყო დაგეგმილი და ეს ეგრე უნდა მომხდარიყო, ანუ მათ უნდა მოხვედროდათ ხელი, იქ ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირიდან უნდა წამოსვლოდა სისხლი და ეს სისხლი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ უნდა მოეწმინდა და უნდა ეყვირათ, რომ ცხვირი აქვს გატეხილიო. სხვათა შორის, პროვოკაციების მთელი ჯაჭვია დაგეგმილი, ეს პირველი რგოლი იყო ამ პროვოკაციის, ხოლო დანარჩენი რგოლები იქნება უფრო გაზაფხულისთვის. თუმცა საქმე ისაა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ხალხი აღარა ჰყავს. მიხეილ სააკაშვილი 300-400 კაცსაც კი ვერ აგროვებს თავის მხარდასაჭერად, აი, ეს არის ყველაზე საცოდაობა. კაცი, რომელიც 80%-იანი მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში, დღეს 300 კაცსაც ვერ აგროვებს თავისი ორგანიზაციის მხარდასაჭერად. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მათი პროვოკაციებიც ველარ იქნება შთამბეჭდავი. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ივანიშვილს საკმაოდ მყარად აქვს უკვე ხელისუფლება აღებული, საკმაოდ მყარად დგანან სამართალდამცავი ორგანოები და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები და ეს მაინც წყალწაღებულის ხავსის მოჭიდების პოლიტიკაა ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. მათ ველარაფერი უშველით. მე მიკვირს, ისინი რატომ არ მიდიან საერთოდ პოლიტიკიდან და უარს არ ამბობენ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე.

***— სააკაშვილი ცდილობს ბოლომდე შეინარჩუნოს სკამი...***

— მე შევდივარ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობაში, იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მოქმედებენ მაფიის პრინციპით. პირდაპირ გეტყვით, რომ მიხეილ სააკაშვილი მძევალი არის თავისი პოლიტიკური გარემოცვის. პირდაპირ ეუბნებიან მას, თუკი შენ ჩვენ მიგვატოვებ, მაშინ ჩვენ ყველაფერს ვიტყვით და მე გარწმუნებთ, რომ ძალიან დიდი სიბინძურეები ხდებოდა სააკაშვილის კარზე და ეს ყველაფერი რომ გამომზეურდეს, სააკაშვილსაც ვერსად ექნება გასაქცევი. ამიტომ სააკაშვილი არის თავისი გარემოცვის მძევალი, ეს გარემოცვა კი შემოდგომის ბუზივით იქცევა და მწარედ იკბინება. ეს ყველაფერი მაინც საშიშია და ამას დიდი სიფრთხილე ჭირდება. არა იმიტომ რომ ამით ივანიშვილის ხელისუფლება შეირყევა, არა, ამით ერთადერთი შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა დაზარალდეს. ნაციონალურ მოძრაობას ქართული სახელმწიფოებრიობა კი არა საკუთარი შვილების მომავალიც კი არ აღელვებს, ისინი თვითგადარჩენის ინსტინქტით მოქმედებენ.



**სააკაშვილი 300-400 კაცსაც კი ვერ აგროვებს თავის მხარდასაჭერად**

***— ჩვენ ვხედავთ, როგორ ჯიუტობს ქალაქის მერი და კვლავ თავის კაბინეტში იბარებს პროკურორს, ეს რამდენად სწორი პრაქტიკაა და თუ იქნება მის მიმართ მკაცრი ზომები გატარებული?***

— მე ბუნებით დემოკრატი ადამიანი ვარ და მკაცრი ზომების მომხრე არა ვარ, ბევრად უფრო ლიბერალური სახელმწიფოს მომხრე ვარ. გიგი უგულავას საქციელი სითავხედეს უფრო ჰგავს, ვიდრე რაიმე სხვა ნაბიჯს. ან იმის შიშს, რომ მოდულის შენობაში რომ მივა, იქიდან ველარ გამოვა. თქვენ თუ ხვდებით, რატომ ბრუნდებიან მაღალჩინოსნები საქართველოში? იგივე გურამი, აღარ დაწეროთ, გურგენ დონაძე, ეს 9 მთავრობის ნაძირალა, ტიპური არაკაცი, ან რატომ დაბრუნდა ახალაია, ასევე მელნიკოვიც აპირებს დაბრუნებას და ჩაბარებას. იცით, რატომ ბრუნდებიან ესენი?!

***— რატომ, ბატონო სანდრო?***

— იმიტომ, რომ სადაც ესენი არიან, იქ მათ არ დაედგომებათ და საქართველოს ციხეებში ისინი ყველაზე დაცულად გრძნობენ თავს. მათ უცხოეთში გაქცეული ქართველები იმდენი ჰყავთ გამწარებული, რომ უცხოეთში მათზე შურისძიება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე საქართველოს ციხეებში. სწორედ ამიტომ ბრუნდებიან საქართველოში. დედამიწის ზურგზე არ არსებობს ქვეყანა, სადაც ისინი დაცულად იგრძნობენ თავს. აქედან გამომდინარე, ყველაზე დაცულად გლდანის ციხეში იგრძნობენ თავს.

***— თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს იგივე დონაძე...***

— სამაგიეროდ საქართველოს ტერიტორიაზე არიან და დაცულები არიან. თქვენ წარმოიდგინეთ, გურგენ დონაძეს აგური რომ დაეცეს თავში შემთხვევით, ეს ყველაფერი ხომ ახალ ხელისუფლებას დაბრალდება? ახალი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, რომ მათი სიცოცხლე დაიცვას. ესეც უნდა იყოს, ჩვენ უნდა დავიცვათ გურგენების სიცოცხლეც, მაგრამ ამავე დროს გურგენებმა პასუხი უნდა აგონ სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძისა და სხვა ახალგაზრდების სიცოცხლის ხელყოფისთვის და ისინი მზად არიან ამისთვის. თანაც ბევრმა შეიძლება ბევრად უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი ციხის საქათმეში... თუმცა ეს მათი საქმეა...

***— ე.ი. გასაქცევი აღარსად აქვთ?***

— არა, რა თქმა უნდა, ისინი პირდაპირ ჩამოდიან აქ და ითხოვენ, რომ დააპატიმრონ. თქვენ ნახავთ ცოტა ხანში რამდენი ყოფილი მაღალჩინოსანი მოაწყდება საქართველოს, იმიტომ, რომ უცხოეთში ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან.

***— როგორ ფიქრობთ, არის იმის შანსი, რომ ადეიშვილიც დაბრუნდეს?***

— ადეიშვილის დაბრუნების შანსიც არის. სიმართლე რომ გითხრათ, ადეიშვილი ყველაზე საინტერესო მოწმე იქნება. პირდაპირ გეტყვით, მე მეშინია, რომ ადეიშვილი თავისმა თანაგუნდელებმა არ გაასაღონ. ამის დიდი საშიშროება არსებობს, რადგან ადეიშვილი არის უდიდესი ინფორმაციის მატარებელი ადამიანი. ადეიშვილმა იცის ყველა იმ სიბინძურის შესახებ, რაც ამ წლების განმავლობაში ხდებოდა. ადეიშვილი დასაცავია ისევ და ისევ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისგან, რადგან არასასურველ მოწმეებს იცილებენ ხოლმე თავიდან. მე არ გამოვრიცხავ და უფრო დიდი ალბათობით იმას ვუშვებ, რომ ადრე თუ გვიან, ადეიშვილიც თავისი ფეხით დაბრუნდება საქართველოში და თვითონვე წარდგება მართლმსაჯულების წინაშე.

***— თქვენ განაცხადეთ, რომ პროვოკაციები მოსალოდნელიაო და რამდენად რთული სიტუაცია შეიძლება შეიქმნეს?***

— მე ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ გაზაფხულზე ახალი პროვოკაციების მცდელობები აუცილებლად იქნება. თუმცა ეს პროვოკაციები ვერ იქნება ეფექტური, რადგან პროვოკაციას სჭირდება მოსახლეობის თუნდაც მცირე ნაწილის მხარდაჭერა და ამ პროვოკატორებს ეს მცირე მხარდაჭერაც არა აქვთ. ნაცმოძრაობას რომ შეეძლოს 3-5 ათასი კაცის მოგროვება თავიანთ აქციებზე, მე დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო სერიოზულ პროვოკაციებზე წავიდოდნენ და ეს გაცილებით უფრო საშიში იქნებოდა. მე ნამდვილად არ ველი, რომ ამ მოკლე ხანში ნაციონალების რეიტინგი ისე მოიმატებს, რომ მათ საქართველოს მაშტაბით ხუთი ან ათი ათასი კაცის მოგროვება შეძლონ.

# აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს მალე გადააყენებენ

## ბარამია რუსეთში თაღლითობისთვის იძებნება

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გია ბარამიას, ალბათ, მალე პოსტიდან გადააყენებენ. ეს გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ბარამიას გადადგომის მოთხოვნით აფხაზეთის მთავრობის შენობასთან აქციაზე გაახმოვანეს. მათ გია ბარამიას ულტიმატუმი წაუყენეს და ფიქრისთვის 48 საათი მისცეს.

აქცია არასამთავრობო ორგანიზაცეების მიერ იყო ორგანიზებული და გამაფრთხილებელ ხასიათს ატარებდა. არასამთავრობო ორგანიზაციების, „აფხაზეთი ჩემი სახლია“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთაშორისო ორგანიზაცია“, აფხაზეთის ქალთა საბჭო“, „ომის ბავშვები“, „საქართველო დევნილთა მხარდაჭერისთვის“, „აფხაზეთის მეომართა კავშირი“, „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ასოციაცია“, „საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამურზაყანო“ და აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები ამ მოთხოვნით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეხვდა.

შეხვედრის ძირითადი მიზანი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სხდომაზე აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის გია ბარამიასთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმა და, დეპუტატთა უზენაესი უფლების გამოყენებით, მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან მისი უპირობო გადაყენება იყო.

ჩვენ შევეცადეთ დავკავშირებოდით თავად გია ბარამიას, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ის აფხაზეთის მთავრობის შენობაში არ იმყოფებოდა. ამიტომ მისი აზრი არასამთავრობოების მოთხოვნაზე, ჩვენთვის უცნობია.

აქვე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე არასამთავრობოები აბესალომ მიქელაძის კანდიდატურას ასახელებენ. ეს დაადასტურა თვით აბესალომ მიქელაძემ.



— დღეს იყო გამაფრთხილებელი აქცია. დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები მოვითხოვთ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბარამიას გადადგომას. მას მივეცით 48 საათი, რომ გონს მოეგოს და გადადგეს. დევნილი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არის ჩვენი მომხრე, რაც გამოიხატება იმაში, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ჩვენ გვიჭერენ მხარს. მე ოცზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ, — განაცხადა აბესალომ მიქელაძემ.

***— ბატონო აბესალომ, თქვენ ხართ წარდგენილი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე?***

— დიახ, მაქვს ასეთი პატივი ჩემი დევნილი მოსახლეობისაგან, რომ მე ვიყო წარდგენილი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, რომელიც 25 წევრისაგან შედგება, 20 წევრი მე მიჭერს მხარს. სხვებიც მზად არიან მხარი დამიჭირონ. სამართლებრივად და პოლიტიკურად ვითარება არის მზად. ჩვენ მაინც მოვედით, გამოვიჩინეთ პოლიტიკური ტაქტი ერთის მხრივ, ჩვენი მხარდამჭერების მიმართ, მეორე მხრივ, რადგან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებიც მუშაობენ აფხაზეთის მთავრობაში, მათ მოვუწოდეთ, მშვიდობიანად გადადგნენ. ისინი ჯერ კიდევ აგრესიულად ახორციელებენ ყოფილი ხელისუფლების, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ დაკვეთებს.

***— ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური დაკვეთების შესრულება აფხაზეთის მთავრობის მხრიდან რაში გამოიხატება?***

— უწინარეს ყოვლისა, ისინი აცნობიერებენ რა, რომ დევნილ მოსახლეობას ისინი არ სჭირდებათ და არ შეესაბამებიან დღევანდელ პოლიტიკურ რეალობას, აგრძელებენ სხვადასხვა საკადრო მანიპულაციას — ნიშნავენ სხვადასხვა მინისტრს, დეპარტამენტის თავმჯდომარეებს და არაფერს ეკითხებიან არც დევნილ მოსახლეობას, არც უმაღლეს საბჭოს, როგორც პარლამენტს. ეს მთავრობა დაინიშნა ძალადობით. კუდის ნიღბიანი სპეცნაზი შეიჭრა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, ანუ პარლამენტში შეიარაღებული ავტომატებით და უმაღლეს საბჭოს ზეწოლის ქვეშ მიაღებინა გადაწყვეტილება ბარამიას დანიშვნის შესახებ, ანუ უპრეცედენტო ზეწოლა იყო.

***— ამას დაადასტურებენ?***

— ამას დაგიდასტურებენ უმაღლეს საბჭოში. ჩვენი მომხრეები ამ წუთებში ხვდებიან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ვაჟა-ფშაველას 16 ნომერში, იქ, სადაც ადრე დევნილთა სამინისტრო იყო.

***— აქ რატომ არ შეხვდნენ?***

— უმაღლესი საბჭო იქ არის, მთავრობა კი — აქ.

***— უმაღლესი საბჭო აქედან გაიყვანეს?***

— დიახ. ესენი ერთ შენობაში ვერ გაერთიანდნენ ბარამიას შემხედვარე და საქართველოს გააერთიანებენ? ასეთი ბარამია გვყავს. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბარამიას გამოუცხადა უნდობლობა და რეკომენდაცია მისცა სესიას, ეს საკითხი განიხილოს.

***— ეს ოფიციალურად უკვე გააკეთა?***

— ეს არის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური გადაწყვეტილება, რომელიც სესიაზე გავა. სესია გაიმართება უახლოეს დღეებში, შეიძლება დღესაც კი.

***— თქვენი კანდიდატურაც ოფიციალურადაა წარდგენილი?***

— ჩემი კანდიდატურა ოფიციალურადაა წარდგენილი 20 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ და უმაღლესი საბჭოს 25 დეპუტატიდან 20 სთავაზობს ჩემს კანდიდატურას. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში გაიმართება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია, სადაც სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, ამ გადაწყვეტილებასაც მიიღებენ. ჩვენ კოორდინაციაში ვართ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ვფიქრობთ, ეს საკითხი რეალიზებული იქნება უახლოეს დღეებში. თუმცა, ჩვენ აქ მაინც მოვედით.

***— ახალ ხელისუფლებას უნდა, რომ ბარამია შეიცვალოს?***

— მთელ საქართველოში ყველგან ყველაფერი იცვლება, თვით გამგეობებისა და საკრებულოების უმეტესობაშიც კი. მხოლოდ აფხაზეთის ხელისუფლება დარჩა ნაცმოძრაობისა და ძველი ხელისუფლების ტყვეობაში. ისეთი უმთავრესი მიმართულება ჩვენი სახელმწიფოსა და ჩვენი ერისათვის, რო-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ქართველი პოლიტიკოსების ენა

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

ჩვენი სინამდვილიდან გამომდინარე, დამაჯერებლად შეგვიძლია ვთქვათ,რომ ქართული ენა პოლიტიკოსების ხელში(პირში უფრო) სიძულვილის ენად იქცა.

კომუნისტების დროს ოპონენტი პოლიტიკური ძალა არ არსებობდა და თავისთავად ცხადია, არც არავინ უწოდებდა ამ პარტიის წარმომადგენლებს საჯარო გამოსვლების დროს იმ ეპითეტებსა თუ შედარებებს, ახლა რომ უხვად გაისმის ეთერში.

ხშირად წამოუძახებიათ ჩემთვის, ,,ოცნებობო“, მაგრამ ქართველებს ოცნების გარდა რა ძალა გვქონდა ?!

ცხონებული გამსახურდია რუსეთის გარდა ალბათ (და კიდევ ეროვნული თვითმყოფადობის მოწინააღმდეგებისა) ცუდს პირიდან არ წაიცდუნებდა. მერე მოვიდა შევარდნაძე იოსელიან-კიტოვან-სიგუას მეშვეობით და დაიწყო ღვარძლის წამონთხევა.

,,თქვა დასავლეთისკენ და წავიდა ჩრდილოეთისკენ“, წამოაძახეს ,,მრგვალ მაგიდას“ იძულებითი პოლიტიკური ემიგრაციის შემდეგ. მერსედესი რატომ უნდა ჰყავდეს გამსახურდიას? ბოღმავდა ტელეეთერი პროლეტარულად მოაზროვნე ხალხს. არადა გამსახურდიას მერსედესზე უფრო ადრე ჩემს მეზობელს ჰყავდა ,,ფორდი“, თან ეს კაცი ერთი გლეხის შვილი იყო და ხელოსნობდა, არც აკადემიკოსი ყოფილა და არც პოლიტიკური მოღვაწე. სიძულვილის ენა გამსახურდიას წინააღმდეგ ააჭარტალეს პირველად, მერე ე.წ. ზვიადისტებმა შევარდნაძე იუდა და კიდევ უარესი იძახეს და ჩამოგვიყალიბდა სიძულვილის ენით საუბარი. ჩვენ კიდე პოლიტიკოსებიიდან ადვილად ვიღებთ ნეგატიურს და დიდი ამბით ვიმეორებთ აგრესიულ წინადადებებს.

ბრძოლის იარაღი განცხადებებია, იარაღის მომხმარებელი – პოლიტიკური მოღვაწეები, დაზარალებული კი – საზოგადოება.

ეს ახლაც წარმატებულად გრძელდება. ოპონენტების აზრი მინიმუმ დილეტანტიზმად ან დემაგოგიად საღდება. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, როცა მოარულ ფრაზას იმეორებდა ძალიან ბევრი: ,,შევარდნაძე ჩათლახ“(მიეწერებოდა ლოთი ქობალიას), მაშინ, ცხოვრების სიავით დაღლილი მეც ხშირად ვიმეორებდი ამ სიტყვებს შინაგანი კმაყოფილებით (სამწუხაროდ). რა ისმის პრეზიდენტისგან, მთავრობის წევრებისგან და პარლამენტარებისგან? ამომრჩეველს რომ საქონელს უწოდებ და მერე მაღალი ტრიბუნიდან ჭკუის დარიგებას დაუწყებ ადამიანებს, მინიმუმ უხერხული არ არის?

ლიბერალურ-დემოკრატიული და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიღბით ზოგჯერ ბევრად უარესს აკეთებენ, ვიდრე გაშვერილი აგრესიული სიტყვებით, მაგრამ საზოგადოებაში რომ არის მოთხოვნა სიძულვილის ენაზე? ორიოდე ხელისუფალი თუ ბუნებით მშვიდი



ადამიანი გამოჩნდება ასპარეზზე, თეთრ ბაირაღებს ააფრიალებენ, დამშვიდდით, ნერვებს ნუ დააწყვეტთ ერთმანეთს, წრეზე ნუ ვივლით და წინა ხელისუფლების მსგავსად არ ვთქვათ ისეთი რამე, გულს და ქვეყანას რომ აზარალებსო, მაგრამ ისე მივეჩვიეთ ხმამაღლა აგრესიულ ლაპარაკსა და ქილიკით წერას, კარგა ხანს მოვუნდებით მწყობრში ჩადგომას.

სხვა თუ არაფერი, რელიგიის მსახურები მაინც უნდა ენატკბილობდნენ და სიტყვით, საქმით თუ გულისხმისყოფით გვაძლევდნენ ნიმუშს სამოქალაქო სიყვარულისას. სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირებისა არ ვიცი, მაგრამ მართმადიდებლობის წიაღში წყევლა, კრულვა და განკითხვა ისე ფესვგადგმულია, ამის ამოძირკვას რუის-ურბნისი კრება და დავით აღმაშენებელი მაინც დასჭირდება. ანაფორიანთაგან მაინც დაიწყოს სულთა მარგებელი ურთიერთობები და შემდეგ მთელ საზოგადოებასაც მოედოს ჩვენდა სიხარულისად.

არც ქართული მედია აკლებს ხელს აგრესიის თესვას. ტელემედიის საინფორმაციო გამოშვებების დაწყება პოზიტიური ინფორმაციით აღარც ხდება მგონი. თვალებდაქაჩული ჟურნალისტი ბუზებს აქლემებად აქცევენ და კიდევ ერთ აგურს დებენ ჩვენი აგრესიული კონსტრუქციის აშენებაში. გავამხილო და არც ბეჭდური მედია იკლავს თავს პოზიტიური და გაწონასწორებული ინფორმაციის გამოქვეყნებით. გულზე ხელდადებით ვერცერთი ჟურნალისტი ვერ დაიფიცებს, რომ პროფესიული თვალსაზრისით არ სიამოვნებს აგრესიული მასალის მომზადება. ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიდან სისხლის წვეთების წამოსვლას ალბათ ასობით პროფესიული კალამი და ობიექტივი ელოდებოდა, გიგა ნასარიძის ბუკივით გამხდარი სახე ბევრად უფრო ,,ნედლი მასალაა“, ვიდრე ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვებისათვის გამართული ღონისძიება. ყველა ვიძახით, რომ ქალის (არც კაცის) ცემა არ შეიძლება, დავგმეთ ძალადობა, მაგრამ გულის სიღრმეში ვიძახით: თუ ვინმემ რამე ისეთი არ დააშავა, რომ საკრიტიკო ვერა ვნახეთ რა, მაშინ ქართული მედია დარჩენილა უმუშევარი და ის კაპიკებიც საშვილიშვილოდ გამოგვეცლება ხელიდან, თვიდან თვემდე რომ ველოდებით ჯიბეგამოფხეკილი ჟურნალისტები.

დავაკვირდი და ადვილად აღმოვაჩინე, რომ სოფელში დასაქმებული ადამიანები უფრო ლმობიერები არიან, ვიდრე ურბანიზებული სოციუმი. მიწის ჩიჩქვნა და ძროხის წველა თუა სიძულვილის საწინააღმდეგო წამალი, მთლად იაფია ეგ(ზოგჯერ–უფასოც, თუ მოინდომებ), მაგრამ ამ იაფი და შრომატევადი წამლის მიღება არავის სურს მაინცდამაინც.

ერთი ჭკვიანი ადამიანი გვთავაზობდა არც ისე დიდი ხნის წინ შელოცვას:

,,დაე, იქმნას ენაი ახალი გულისხმისყოფად პრეზიდენტისა და პრემიერისა და დაე, გარეშე მათდა ნუღარავინ გულისხმაჰყოფს მას ენასა. სხდნენ იგინი ჩრდილსა ქუეშე კიდეგან ქუეყანისა და იუბნონ ამას ენასა ზედან საკეთილოდ ამის ქუეყანისა, რომელ არს სახელდებით ქართლი ანუ საქართუელო“.

პრემიერის ანეკდოტებზე რატომ არ ამბობ, რომ აგრესიის ელემენტებიაშიგო. ეგრევე მახსენდება ხაჩიძის პოზიცია, რომელსაც ანეკდოტები ამყარებს. ,,აბა გრეჩიხა სჯობდა“-ს პრინციპიც რომ გაგვიჯდა სულში, ესეც საშინელებაა.

ბრძოლის ფორმატი – განცხადებები, ბრძოლის მხარეები – პრეზიდენტი და პრემიერი თავისი მომხრეებით და პარტიებით, ბრძოლის ველი – ტელე და ბეჭდური მედია, სამწუხაროდ ბოლოს, ბრძოლის მსხვერპლი – საზოგადოება.

როდის გაიზრდება ქართული სამოქალაქო საზოგადოება?! მოვესწრები? იმედია, მოვესწრები!

## ბაქოში საქართველოს მოქალაქეს ნაჯახით ჭრილობები მიაყენეს

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში საქართველოს მოქალაქე ელიზ ისმაილოვს აზერბაიჯანის მოქალაქე ტალეხ ბაგიროვმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ნაჯახით რამდენიმე სერიოზული ჭრილობა მიაყენა. სამართალდამცველებმა ბაგიროვი უკვე დააკავეს. საქართველოს მოქალაქე საავადმყოფოშია მოთავსებული. ექიმების შეფასებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. აღძრულია სისხლის სამართლის. საქმე მიმდინარეობს გამოძიება.

მედიანიუსი

## სააკაშვილი და უსუფაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში შეხვდნენ ერთმანეთს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რებილი ხალხი, რომელიც პროტესტს გამოხატავდა და ამ დროს ადგილი ჰქონდა კანონდარღვევას. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ყველა კანონდამრღვევი უნდა დაისაჯოს. რაზეც ვთანხმდებით, არის ის, რომ მსგავსი მოვლენები ქვეყანას არ წაადგება, ვისი მიზეზითაც არ უნდა იყოს ის დაგეგმილი, პროვოცირებული თუ ბოლომდე ყურადღება ვერმიქცეული. ამიტომ სწორია პოლიტიკური პროცესის სწორედ პარლამენტში გადატანა“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

პრესკონფერენციის ბოლოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მაინც მოახერხებს პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლას. ამ პოზიციას დავით უსუფაშვილიც დაეთანხმა.

# აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს მალე გადააყენებენ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

გორიც არის აფხაზეთი, არ შეიძლება იმართებოდეს, არაკომპეტენტური, არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებისაგან, რომელთათვისაც უმთავრესია სავარძელში ჯდომა. ისინი მოყვანილი იყვნენ კუდის სპეცრაზმის მიერ. ბარამია პირდაპირ კუდის სპეცრაზმმა შეიყვანა კაბინეტში. უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობას უბრძანეს, კაბინეტებიდან არ გამოსულიყვნენ. აღნიშნული პერიპეტიები უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ არაერთხელ დაფიქსირდა, მაგრამ იმ ტოტალიტარულ და საშინელ ვითარებაში, რომელშიც ჩვენს ქვეყანას ამყოფებდა სააკაშვილი,. ეს დაუძლეველი პრობლემა იყო. ახლა მხოლოდ აფხაზეთის მთავრობა დარჩა. შეუძლებელი და მოუთმენელია, ჩვენი ხალხის უმთავრესი პრობლემა გადაუჭრელი იყოს, ხოლო ძალიან სპეციფიკური მოსახლეობა – დევნილი მოსახლეობა იმყოფებოდეს ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმის ტყვეობაში, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ჰქვია. მისი ნარჩენებისაგან, ბარამიას თამადობით, უნდა გათავისუფლდეს დევნილი მოსახლეობა.

***– თუ თქვენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებთ, რა იქნება შეთავაზებული დევნილებისთვის და, საერთოდ, აფხაზეთის საკითხის მოგვარების თვალსაზრისით?***

– აქ არის ორი მიმართულება. პირველია – ჩვენი დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც დღემდე უმძიმესია და ის ბუტაფორიული იმიტაციები დევნილებზე ზრუნვისა, რეალურად, გამოხატული იყო დევნილთა რბევასა და დევნაში, ახსოვს ქართველ და საერთაშორისო საზოგადოებას. მე, როგორც დევნილთა კონგრესის გენერალური მდივანი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახლა მე მიჭერენ მხარს, მუდმივად ვიბრძოდით დევნილთა დევნის წინააღმდეგ, რაც თქვენთან ინტერვიუშიც არაერთხელ აღგვინიშნავს. ეს იქნება პირველი ჩვენი საზრუნავი ცენტრალურ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან, საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასთან, უწინარეს ყოვლისა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან.

მეორე მიმართულება იქნება ნდობის აღდგენა აფხაზურ მხარესთან, მათ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათი მთავრობის წარმომადგენლებთან. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ ღირსეული და პირგაუტეხელი მოლაპარაკებები დავიწყოთ მათთან ყველა დონეზე. ეს იქნება საზოგადოებრივი ურთიერთობები, საზოგადოების წარმომადგენლებისა ერთმანეთთან, რასაც ჩვენ წავახალისებთ და მხარს დავუჭერთ ყოველთვის. ეს იქნება ჩვენი მხრიდან მაქსიმალური მცდელობები საერთაშორისო ფორმატში, ადგილობრივ ორმხრივ ფორმატში იმისათვის, რომ ორ მოძმე ხალხს შორის, აფხაზებსა და ქართველებს შორის აღდგეს ნდობა, აღდგეს ურთიერთობის სურვილი.

***– იმედი გაქვთ, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენასა და ურთიერთობის გაუმჯობესებას შეძლებთ?***

– ვფიქრობ, ჩვენი სახელმწიფოებრივი და ზნეობრივი ვალია, ყველაფერი გავაკეთოთ. დაუძლეველი ბარიერები არ არსებობს. მთავარია, ქართველი საზოგადოების, ქართული სახელმწიფოს ერთიანი ნება. დარწმუნებული ვარ, ქართველი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნება იქნება. ეს ნება ორმხრივი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ, ნებისმიერმა ორმა ადამიანმა, ორმა სუბიექტმა, ორმა საზოგადოებამ უნდა მივაღწიოთ კონსენსუსს.

***– რუსეთის ფაქტორი რომ არსებობს? ამ პროცესს რუსეთის მხრიდან ჩაურევლობა ხომ არ უნდა ახლდეს თან?***

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა საერთაშორისო პრობლემას წარმოადგენს და სწორედ ამიტომ ევროკავშირის, გაეროსა და სხვა მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი გადაწყვეტილება არსებობს. რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთის ევროპული ორგანიზაციების ძალისხმევა, მაგრამ ჩვენი დიპლომატიის, ჩვენი ადამიანური რესურსების გამოყენებით, აუცილებლად უნდა ჩავრთოთ რუსეთის ფედერაცია ამ მოლაპარაკებების პროცესში, რომ მაქსიმალური დაახლოება მოხდეს და კონსენსუსი შედგეს.

***– რუსეთი უკვე ჩართულია და, ფაქტობრივად, დაინტერესებული მხარეა.***

– არა, რუსეთი დაინტერესებული მხარე კი არა...

***– ოკუპანტია.***

– რუსეთი არის ამ ეტაპისათვის ის, რაც არის. ის, რაც არის რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ნგრევას იწვევს. ამიტომ ჩვენი ვალია, მტერი მოყვრად ვაქციოთ. თუ მტერს მოყვრად ვერ ვაქცევთ, მისი აგრესია შევანელოთ და გავაგრძელოთ ამ მხრივ მუშაობა. ეს არ არის ერთი დღის საქმე. ჩვენ ჩვენი სამშობლოს ერთიანობისთვის ყველა ზნეობრივ ნაბიჯზე წავალთ აუცილებლად.

***– ე.ი. ძველი მთავრობის მონაწილეობით ამის გაკეთება შეუძლებელია?***

– ჩვენ, აფხაზეთის არსებულ მთავრობას აფხაზეთის მთავრობად არ ვცნობთ. ზოგადად, კონსტიტუციურად, აფხაზეთს მთავრობის ფუნქციებში არ შედის ისეთი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ურთიერთობები, რომელიც აფხაზეთთან საკითხისთვის არის საჭირო.

***– ბარამია რომ არ გადადგეს?***

– ბარამია რომ არ გადადგეს, მას გადააყენებენ.

***– თავის დროზე გარკვეული უფლებამოსილებები აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მთავრობას გადასცა. ამასთან დაკავშირებით თქვენი აზრი როგორია?***

– ეს იყო ზეწოლა სააკაშვილისა, რომელსაც უზურპირებული ჰქონდა ხელისუფლება ყველა დონეზე. მათ შორის, ავტონომიებში. კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში არის ისეთი შესწორებები, სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ინიცირებული, რომლეიც ადასტურებენ, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციები სააკაშვილს მონოპოლიზებული ჰქონდა. ამაზე არსებობს ვენეციის კომისიის შესაბამისი დასკვნა, რომ ეს კონსტიტუციური შესწორებები არ უნდა გაკეთებულიყო. ამ დასკვნაზე დაყრდნობით, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისობაში მოვიყვანთ აფხაზეთის კონსტიტუციას.



აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრის შემდეგ, კომენტარი ვთხოვეთ დალილა ხორავას (რომელიც ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენდა შეხვედრაზე), თუ რა პრეტენზიები ჰქონდათ გია ბარამიასთან და როგორი იყო მათი პოზიცია.

– აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტაციისაგან მოვითხოვთ, მოწვეულ იქნეს სესია, გამოეცხადოს უნდობლობა გია ბარამიას და უპირობოდ იყოს გადაყენებული მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან, – განაცხადა დალილა ხორავამ.

***– მიზეზი რა არის?***

– ბევრი არგუმენტია. პირველი ის არის, რომ ადამიანი ოფიციალურად ძებნაში იმყოფება. ამაზე მასალები არსებობს.

***– ვის მიერ იქნება ბარამია?***

– ბარამია რუსეთის მიერ არაპოლიტიკური ნიშნით, არამედ თაღლითობის მუხლით იძებნება. ასევე ჩვენ ბარამიას ვადანაშაულებთ ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში. ამაზე არის მასალები. მესამეა, ბარამიას მხრიდან არაკომპეტენტური და არაკეთილსინდისიერი მართვა. მან ბევრი პროფესიონალი გაუშვა აფხაზეთის მთავრობიდან და საეჭვო რეპუტაციის ხალხი მოიყვანა. შემიძლია მაგალითად მოგიყვანო ლელა აქუბარდიას დანიშვნა, რომელიც მან სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გადმოიყვანა, როგორც აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მაშინ, როცა ის ადამიანი გახლავთ ავიაინჟიერი და მუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. ასევე გაათავისუფლა იურისტი, დევნილი ადამიანი, რომელსაც არანაირი პრობლემა არ ჰქონდა კანონთან. მის ადგილზე დანიშნა სენაკის გამგეობის იურისტი, რომელიც დევნილი არ იყო. ასეთი უამრავი მაგალითია. ბარამიას ვადანაშალებთ ნეპოტიზმშიც. უმთავრესი მომენტი ისაა, რომ ბარამიამ დევნილების სოციალური საკითხების ტოტალური უგულებელყოფა მოახდინა.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ბარამიას მოსვლის შემდეგ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და აფხაზეთის მთავრობას შორის კოორდინაცია ვერ ხერხდებოდა. ამიტომ ახლა არასამთავრობო ორგანიზაციების აზრის გათვალისწინება, როგორც ჩანს, აუცილებლად მოხდება და გია ბარამიას აუცილებლად გადააყენებენ. ამას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეც ადასტურებს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გია გვაზავას განცხადებით, მათთვის არასამთავრობოების აზრის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია.

– ახალი დრო მოვიდა. ცვლილებებია საჭირო. ამ აზრს აუცილებლად გავიზიარებთ. ცვლილებები აუცილებელია. როგორი იქნება ეს ცვლილებები, დრო გვიჩვენებს.

***– თავის დროზე უმაღლესმა საბჭომ გარკვეული ფუნქციები გადასცა მთავრობას. ახლა თუ შეეცდებით მის დაბრუნებას?***

– ფუნქციები ჩვენ არ გადაგვიცია. ეს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააკეთა. ახლა ჩვენ გვინდა დავეთანხმოთ ვენეციის კომისიის შეხედულებას და გავაყენოთ ის საკითხები, რომელიც თავის დროზე არასწორად იყო გადაწყვეტილი და დავიბრუნოთ ის უფლებამოსილებანი, რაც უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ორგანოს. უნდა გავმიჯნოთ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციები.

***– გია ბარამიას გადააყენებთ?***

– შეიკრიბება უმაღლესი საბჭო და იმსჯელებს. არასამთავრობო ორგანიზაციის აზრი გასათვალისწინებელია.

# საქართველოს რუსეთთან ძმური ურთიერთობა ხელს აძლევს

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელ გულბაათ რცხილაძესთან

***— როგორია 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარის შეფასება, იყო თუ არა ეს ნაციონალების მორიგი პროვოკაცია?***

— პროვოკაცია, მიმართული უცხოეთზე „საპიაროდ", ნაცბანდისაგან „ტანჯული ოპოზიციის" იმიჯის შესაქმნელად. ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეკრებილი ყოფილი პოლიტპატიმრები არ იყვნენ საჩხუბრად განწყობილნი და მომზადებულნი, მათი მიზანი იყო, ვადაგასული პრეზიდენტის და მისი ამალის არშეშვება შენობაში, ანუ შენობის ბლოკირება. მე თავად იქ გახლდით და ყველაფერს კარგად ვხედავდი, ბოლოს ჭყლეტაში მოვყევი, წავიქეცი და ფეხი დავიზიანე. არეულობა გამოიწვია უგულავას პროვოკაციამ, რომელსაც წინ დაცვა მოუძღოდა და რამდენიმე ადამიანს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამან ხალხი ააღელვა და გამოიწვია საპირისპირო რეაქცია, რამდენიმე „ნაცი" გაილახა, უგულავა ძლივს გაათრიეს საღ-სალამათი. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს, პოლიტიკურ სიბრტყეში გადატანილი, ნიშნავს: არც ერთმა მხარემ არ მოიგო, ყველაფერი ინტერპრეტაციის საქმეა — ვისაც სურს, ის ყოფილ პოლიტპატიმრებს აღიქვამს მოძალადეებად და კანონის დამრღვევებად, მეორე მხრივ კი, შეიძლება ითქვას, რომ ვადაგასულ პრეზიდენტს და თბილისის ლაწირაკ მერს ხალხმა თავისი ადგილი მიუჩინა, მათ თავს ლაფი დაასხა და გადაადგილების საშუალება არ მისცა. რომელი ვერსია იქნება დომინანტი ხალხის ცნობიერებაში, უკვე შესაბამისი პიარის საქმეა. სამწუხაროდ, ხელისუფლებას არ აქვს დარეგულირებული საინფორმაციო პოლიტიკა და ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული. გაუგებარია, რაში იღებენ მსუყე პრემიებს სახელმწიფო კანცელარიაში შექმნილი სპეციალური საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლები?!

***— შს მინისტრის თქმით, მათ ამაზე ინფორმაცია ჰქონდათ და შესაბამისი ზომებიც იყო მიღებული, როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა რეალურად დაცული პრეზიდენტის და მისი მომხრეების უსაფრთხოება?***

— პოლიციას მართლაც ჰქონდა გაკეთებული ორი კორიდორი, მინისტრმა ღარიბაშვილმა ყველაფერი იღონა, რაც მას კანონით ევალება, მაგრამ არის სხვა მომენტიც. ვადაგასული პრეზიდენტის გამოჩენა თავისთავად იქნებოდა პროვოკაცია და დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევდა, უარესი ჩხუბითა და სისხლის ღვრით, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა 8 თებერვალს. პოლიციას მოუწევდა ხალხთან კონფლიქტში შესვლა. ჯერ კიდევ 12 საათისათვის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან სააკაშვილის პროტოკოლის უფროსი დარჩიაშვილი გამოჩნდა, რომელმაც სიტუაცია „დაყნოსა" და უკან გაბრუნდა. ამ დროს უკვე შეკრებილი იყო ყოფილ პოლიტპატიმართა ნაწილი. როგორც ჩანს, დარჩიაშვილმა თავის პატრონს სიტუაცია სწორად აუხსნა და სააკაშვილს ბიბლიოთეკაში მოსვლა გადააფიქრებინა. სამაგიეროდ, პროვოკაციის მოწყობა თავის თავზე უგულავამ აიღო.

***— ამ ფაქტს საერთაშორისო დონეზე მოყვა გამოხმაურება, აისახება თუ არა ეს ყველაფერი ახალი ხელისუფლების იმიჯზე უარყოფითად?***

- შესაძლოა, ასეც მოხდეს, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია. ჩვენ თუ დასავლეთის დაკრულზე განვაგრძეთ ცეკვა-თამაში, იმაზე შორს ვერ წავალთ, ვიდრე სააკაშვილმა წაგვიყვანა. საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს სუვერენულ სახელმწიფოდ, ჩვენს საქმეებში დასავლეთი არ უნდა ერეოდეს. სხვათა შორის, კარგი პასუხი გასცეს აშშ-ს ელჩ ნორლანდს ავლაბრის სასახლესთან ქართველმა მოპიკეტეებმა. ასეთივე პოზიცია უნდა ეკავოს მთავრობას. საბოლოოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ სააკაშვილმა 9 წელი იმიტომ გაძლო და



თუნდაც 7 ნოემბერს არ დაემხო, რომ მას მხარდაჭერა დასავლეთიდან ჰქონდა. მე არ ვგულისხმობ, რომ საერთოდ უნდა მოხდეს უგულებელყოფა იმისა, თუ რა აზრის იქნებიან დასავლეთში ჩვენს პოლიტიკაზე. სააკაშვილმა საქართველო დაუმონა დასავლეთს და ამ მონობიდან ივანიშვილიც ვერ გამოგვიყვანს რამდენიმე თვეში. ამიტომ დასავლეთთან საინფორმაციო მუშაობაა საჭირო, ვინც არ მფარველობდა სააკაშვილს, ყველა ჩვენს მხარეს უნდა დავიყენოთ და დავარწმუნოთ, რომ ვებრძვით ანტიდემოკრატიულ ძალებს. მაგრამ გეზი ნათელი უნდა იყოს — ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც გადაწყვეტილებებს თავად ღებულობს. აქამდე საქართველო დამოუკიდებელი არ ყოფილა, არც 1991 წლის დამოუკიდებლობის აქტის მიღებით, არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. საქართველოს ჯერჯერობით მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარეგნული ატრიბუტები აქვს. ეს მდგომარეობა რეალურ დამოუკიდებლობად უნდა ვაქციოთ.

***— აქვს თუ არა რესურსი ნაციონალურ მოძრაობას იმ რევანშისთვის, რომლისთვისაც ემზადება?***

— როგორც ირკვევა, ნაცბანდას ჰყავს თავისი ბოევიკები, ერთ-ერთი ასეთი ბაზა ამას წინათ აღმოაჩინეს და პიკეტირება მოუწყვეს შოთა აფხაიძემ, ლევან ჩიტაძემ და სხვებმა — ხვიჩა მაქაცარიას სახლ-ოფისთან. გარდა ამისა, არსად არ წასულან სამეგრელოში მობილიზებული „რეზერვისტები" — ირაკლი ალასანიას ცნობილი სიის პერსონაჟები. ახლახან უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტის, დავით ფურცხვანიძის მიმართვაზე უშიშროების საბჭოში, გიგა ბოკერიას სახელით განაცხადეს, რომ ეს რეზერვი ოფიციალურად აგრძელებს ფუნქციონირებას. ამაზე მთავრობას რეაქცია არ აქვს, იგი ჯერ კიდევ არ იქმნის სანდო ძალოვან დასაყრდენს. შესანიშნავი მინისტრია ირაკლი ღარიბაშვილი, მაგრამ მას თუ დავუწესებთ ზედმიწევნით დემოკრატიულ ჩარჩოებს მაშინ, როდესაც ეს ჩარჩოები „ნაცებზე" არ ვრცელდება, მისი მოღვაწეობის შედეგები ნაკლებად ეფექტური იქნება. ქვეყანაში უნდა შეიქმნას რევოლუციური გარემო, ნაცბანდა უნდა აილაგმოს მთლიანად, უნდა გამოვლინდეს მათ მფლობელობაში არსებული სტრატეგიული ობიექტები, ყოველივე ეს მათ უნდა ჩამოერთვათ. ვინც კრიმინალია — ციხეში უნდა მიბრძანდეს, ვინც „უბრალოდ" ნაცების „ინტელექტუალური მხარდამჭერია", უნდა გაირიყოს და იზოლაციაში მოექცეს. ვიცი, ფრიად მიუღებელ რამეს ვამბობ ადამიანის უფლებების დამცველთათვის, მაგრამ მე პოლიტოლოგი და პირველ რიგში, რეალისტი ადამიანი ვარ. ჯერ შევქმნათ მყარი რეალობა და მერე დავიცვათ „ნაცების" უფლებები. თუ ასე არ მოხდა, მაშინ „ნაცებს" მცირე, მაგრამ გარკვეული შანსები უჩნდებათ, გადარჩნენ პოლიტიკურად და გარკვეულ პროცესებზე გავლენა შეინარჩუნონ, თუმცა მათ ტრიუმფალურ დაბრუნებას ხელისუფლებაში მაინც არ ველი, ხალხში ძალზე დიდია მათდამი სიძულვილი. მაგრამ დაუშვებელია, რომ მათ რაიმე პოლიტიკური გავლენა შეინარჩუნონ ქვეყანაში, ფინანსურ ბერკეტებთან ერთად, რადგან ეს მუდმივი დესტაბილიზაციის წყარო იქნება. ამიტომ, ვიმეორებ: „ნაციონალური მოძრაობა", როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, უნდა აილაგმოს — ამა თუ იმ ფორმით.

***— ყველაზე მეტი კრიტიკა ისმის ახალი ხელისუფლების მიერ გატარებულ საგარეო კურსზე, როგორია თქვენი შეფასება?***

- საკრიტიკოს ვერაფერს ვხედავ. უწმინდესმა და უნეტარესმა, პატრიარქმა ილია მეორემ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ დისკუსიას. ომი დაიწყო სააკაშვილის ბანდამ და საქართველოს რუსეთთან სჭირდება ძმური ურთიერთობა. ამას პირადად მე მრავალი წლის განმავლობაში ვამბობ, მაგრამ სულ სხვაა, პატრიარქი რას იტყვის. ძალიან სწრაფად მოხდა რუსეთთან დადებითი ძვრების გაჩენა. შემდეგი ეტაპი უნდა იყოს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და სრული ნორმალიზება.

***— არის თუ არა შესაძლებელი ქვეყანამ შეინარჩუნოს ევროკავშირისკენ აღებული კურსი და პარალელურად მოწესრიგდეს რუსეთთან ურთიერთობა?***

- რა თქმა უნდა, შესაძლებელია, ჩვენი „კურსი" ევროკავშირისკენ და ნატოსკენ პირობითია, იქ ჩვენ არავინ გველის, ცხოვრება კი გვიბიძგებს, რუსეთს დავუახლოვდეთ და სარგებელი ვნახოთ ეკონომიკურ ურთიერთობებში, გავაცოცხლოთ კულტურული და ჰუმანიტარული კავშირები. ევროკავშირ-ნატოსკენ აღებული „კურსი" კი იყოს კურსად, პრობლემას ვერ ვხედავ, იმოგზაურონ მაია ფანჯიკიძემ და ალექსი პეტრიაშვილმა დასავლეთის ქვეყნებში, აკეთონ ლამაზი განცხადებები, შესანიშნავია. ევროკავშირის ბაზარი პირდაპირ თუ ირიბად, ჩვენთვის დახურულია, სამწუხაროდ, თორემ თვითმიზანი არ არის მაინცდამაინც რუსულ ბაზარზე ორიენტაცია. ისევ და ისევ რეალობიდან უნდა გამოვიდეთ.

***— რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება იქნება თუ არა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გარანტი?***

— ჯერ უნდა გავერკვეთ, რას ნიშნავს ჩვენთვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. კონკრეტულად როგორ მოიაზრებს საზოგადოება ამ ტერმინს? აფხაზები და ოსები ჩვენი ყმები უნდა გახდნენ? ამ ტერიტორიებზე მარტო ქართული დროშა უნდა ფრიალებდეს? იქ ეთნიკურად ქართული ჯარი და პოლიცია უნდა იდგეს? თანამდებობის პირები თბილისიდან უნდა ინიშნებოდნენ? აი, ეს და კიდევ მრავალი სხვა კითხვაა პასუხგასაცემი, ჯერ ისევ და ისევ ქართულ საზოგადოებაში. საოცარია, ამ თემებზე არანაირი დისკუსია არ მიმდინარეობს. არ ვიცით, რა გვინდა და ვითხოვთ იმას, რაც არ ვიცით! როდესაც გავერკვევით, რა გვინდა, ალბათ შემდეგ უფრო გასაგები იქნება, რას უნდა ველოდოთ იმავე რუსეთისაგან. ერთი კია, რომ რუსეთის გარეშე აფხაზებთან და ოსებთან დიალოგი არ გამოვა, ჩვენ კი ვეძახით მათ „ძმებს", მაგრამ ისინი სხვა აზრზე დგანან — გამომდინარე ბოლო ოცდახუთწლიანი ისტორიის პრაქტიკიდან, რომელიც სააკაშვილმა „დააგვირგვინა" 2008 წელს.

***— ცოტა ხნის წინ საქართველოს სტუმრობდნენ რუსი ჟურნალისტები და ექსპერტები, რა იყო ამ ვიზიტის შედეგები და სამომავლო პერსპექტივები?***

— ეს იყო უმაღლესი კლასის სპეციალისტთა დელეგაცია, მათ მასტერკლასები ჩაუტარეს დამწყებ ქართველ ჟურნალისტებს. პარალელურად ჩამოსული იყო ორი პოლიტოლოგი, რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, ნიკოლაი სილაევი და ანდრეი სუშენცოვი, რომელთაც მეტად საინტერესო, დაბალანსებული და სიღრმისეული მოხსენება წარმოადგინეს ქართულ-რუსული ურთიერთობების აწმყოსა და პერსპექტივების შესახებ. სააკაშვილის პროპაგანდა გვაჩვევდა, რომ რუსეთი არის მხოლოდ ტანკები და კალაშნიკოვის ავტომატები, ისიც დაჟანგული, მაგრამ ვინც ამ მოხსენებას — ანალიზს წაიკითხავს, მიხვდება, რომ თანამედროვე რუსეთი ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. რუსეთში არიან სპეციალისტები, ვინც ურთულეს პოლიტიკურ პრობლემებს კონსტრუქციულად, ფხიზლად და სერიოზულად უყურებს. აშკარაა მოხსენების ავტორთა კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ. ეს იყო პირველი ნაბიჯი, დაიწყოს რუს და ქართველ ექსპერტთა დიალოგი და ამ დიალოგის შედეგად მიეწოდოს რეკომენდაციები ორი სახელმწიფოს ხელისუფალთ. სილაევის და სუშენცოვის ჩამოსვლა არ იყო უბრალოდ კერძო პირთა ვიზიტი, მას დიდი მნიშვნელობა აქვს და მის უკან რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის პოზიტიური დამოკიდებულება დგას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „ახალი თაობის" საშუალებით მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ჩემი და შოთა აფხაიძის ოფიციალური მიმართვის საფუძველზე გააუქმა სააკაშვილის რეჟიმის პროვოკაციული შეზღუდვები საქართველოში რუსი ექსპერტების ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ნაცბანდას ასეთი ტიპის რუსი ექსპერტების ჩამოსვლა სწორედ იმიტომ არ აწყობდა, რომ ისინი რუსეთს ღირსეულად წარმოადგენენ და ყველა პირობას ქმნიან საქართველოსა და რუსეთს შორის თანასწორუფლებიანი დიალოგის დასაწყებად.

## თსუ-ში დღეს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი დაფუძნდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დღეს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი დაფუძნდება.

ინსტიტუტის დაფუძნების ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოს ფინანსთა სამინისტროა.

უნივერსიტეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში, თსუ-სა და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საერთო სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობის" კურსდამთავრებულთათვის, დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართება და შპაიერის უნივერსიტეტის პროფესორს ანდრეას კნორის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭება.

ღონისძიებას თსუ რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ოფიციალური პირები გერმანიის საელჩოდან, შპაიერის ერთიანი სამაგისტრო პროგრამის პროფესორები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები დაესწრებიან.

**ნიუსპრესი**

## ყალბი დოკუმენტის დამზადების ფაქტზე ბაკურციხის რწმუნებული დააკავეს

ყალბი დოკუმენტების დამზადებასა და ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, გურჯაანიის რაიონის სოფელ ბაკურციხის რწმუნებული თეიმურაზ

ზავრაშვილი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია,რომ ზავრაშვილმა ყალბი ცნობა დაამზადა,რომლის სანაცვლოდაც ქრთამის სახით 300 ლარი აიღო.

გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს,რაც სასჯელის ფორმად, 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

## პოლიციამ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის საქმეზე, კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, გუშინ, ხულიგნობის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული ნიკოლოზ არაბული დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულმა 2013 წლის 8 თებერვალს, გუდიაშვილის ქუჩაზე, ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს, საქართველოს პარლამენტის

დეპუტატ სერგო რატიანს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

„მის დაკავებას საფუძვლად დაედო კონკრეტული მტკიცებულებები, მათ შორის, დაკითხვისა და პირის ამოცნობის ოქმები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ვიდეომასალები, — აცხადებენ სამინისტროში.

ნიკოლოზ არაბული წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

## საქართველოში 112-ის დღე აღნიშნეს




11 თებერვალს საქართველოში, ისევე, როგორც ევროპაში 112-ის დღე აღინიშნება.

ამ დღესთან დაკავშირებით 112-ის ოფისში სპეციალური ღონისძიება გაიმართა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და 112-ის ხელმძღვანელი გიორგი ბიჭაშვილი დაესწრნენ. ღონისძიებაზე ასევე, მოწვეულნი იყვნენ მზრუნველობასმოკლებული ბავშვები, რომელთაც 112-ის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

112-ზე დარეკვა საქართველოში მოქმედი ყველა ფიქსირებული და მობილური სატელეფონო ქსელიდან შეიძლება. ზარის განხორციელება უფასოა და დარეკვა ტელეფონის ორმხრივად გათიშვისა, თუ სიმბარათის არარსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია.

ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ 11 თებერვალი 112-ის დღედ 2009 წლის თებერვალში გამოაცხადეს. ეს თარიღი ყოველწლიურად აღინიშნება და მიზნად ისახავს 112-ის ცნობადობის გაზრდას. ევროკავშირი აქტიურად მუშაობს 112-ის ცნობადობის გაზრდაზე, რადგან მნიშვნელოვანია, რომ ეს ნომერი ცნობადი იყოს ყველა ადამიანისათვის.

**ნიუსპრესი**

# საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში პირად არქივს გამოაქვეყნებენ

ეკა ირემაშვილი

**13 თებერვალს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში საზოგადოებას წარედგინება ციცინო ჯერვალიძის წიგნი ,,პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით. როგორც ცენტრის წარმომადგენელი ნათია გოგუაძე განმარტავს, წიგნი „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით" (წიგნი მეორე) ეპისტოლარული ჟანრისაა, რომლითაც გრძელდება ფრანგული და ამერიკული ემიგრაციის უხუცესი წარმომადგენლის, ვაშინგტონში მცხოვრები პეტრე ხვედელიძის პირადი არქივის გამოქვეყნება.**

– პირველი წიგნი მოიცავდა საფრანგეთში ქართული ემიგრაციის თავკაცის ლევან ზურაბიშვილის პირად წერილებს, რომლებსაც ამდიდრებდა სხვადასხვა საინტერესო მასალა ფოტოებითურთ. ამჯერად მკვლევარ-ისტორიკოსებს, ლიტერატორებსა და მკითხველთა ფართო წრეს ვთავაზობთ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ფრანგული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის რევაზ გაბაშვილის პირად წერილებს, მიწერილს უმცროსი მეგობრის, ვაშინგტონში მცხოვრები პეტრე ხვედელიძისადმი. რევაზ გაბაშვილი დაიბადა 1882 წელს თბილისში, ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ოჯახში. განათლება მიიღო ლიეჟსა (ბელგია) და პეტერბურგში (რუსეთი). 1918-1921 წლებში იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. 1921 წელს რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ოკუპაციის შემდეგ, რევაზ გაბაშვილი საქართველოს მთავრობასთან ერთად იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო ჯერ თურქეთში, 1924 წლიდან კი საფრანგეთში, სადაც გააგრძელა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა რუსული აგრესიის წინააღმდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. რევაზ გაბაშვილი გარდაიცვალა საფრანგეთში 1969 წელს და დაკრძალულია პარიზის გარეუბანში, ბანიოს სასაფლაოზე. 2012 წლის 6 ნოემბერს მას დაბადებიდან 130 წლისთავი შეუსრულდა და წიგნი ამ საიუბილეო თარიღს ეძღვნება. უხუცესი ქართველი ემიგრანტი პეტრე ხვედელიძე დაიბადა 1919 წელს თბილისში, იგი ქართველ ემიგრანტთა იმ ტალღის წარმომადგენელია, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ტყვეობის გამო სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა. თავდაპირველად იყო ფრანგულ ემიგრაციაში, იბრძოდა საფრანგეთის „უცხოელთა ლეგიონში", მოგვიანებით კი ამერიკის ქართულ ემიგრაციას შეუერთდა. მუშაობდა რადიო „ამერიკის ხმის" ქართულ განყოფილებაში და 18 წლის მანძილზე მართალ ინფორმაციას აწვდიდა თანამემამულეებს გასაბჭოებულ საქართველოში. ამჟამად იგი 94 წლისაა, ცხოვრობს ვაშინგტონში და წერს მემუარებს. რაც შეეხება წიგნის ავტორს, ციცინო ჯერვალიძე ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამავე თეატრის მუზეუმს. იყო ამიერკავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი. არის საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი. მისი წერილები საოპერო ხელოვნებაზე იბეჭდება ქვეყნის წამყვან გაზეთებში. თეატრის პარალელურად მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში", იყო რეჟისორ თენგიზ აბულაძის ასისტენტი ფილმში ,,მონანიება", მუშაობდა ცნობილი კინოდოკუმენტალისტის, რეჟისორ კოტე კერესელიძის ფილმებზე „ზაქარია ფალიაშვილი", ,,ვიქტორ დოლიძე", ,,დავით ბადრიძე", სწავლობდა ტელე-კინო სარეჟისორო ფაკულტეტზე ომარ გვასალიასა და თემურ ფალავანდიშვილის ჯგუფში, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის დილის პროგრამაში ,,გამარჯობა, საქართველო" ამზადებდა სიუჟეტებს საოპერო ხელოვნებაზე. 2001 წელს თბილისის ოპერის თეატრის 150 წლისთავთან დაკავშირებით ბატონ ნოდარ ანდღულაძესა და ზურაბ ლომიძესთან ერთად დააარსა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გაზეთი ,,ქნარი", რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში რედაქტორობდა. 2004 წლიდან მან დაიწყო უხუცესი ქართველი ემიგრანტისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ პეტრე ხვედელიძის ბიბლიოთეკისა და პირადი არქივის დამუშავება. პარალელურად აქვეყნებდა წერილების სერიას ქართულ ემიგრაციაზე. 2008 წლიდან არის ემიგრანტული ჟურნალის ,,თანამემამულე" სარედაქციო საბჭოს წევრი. ,,პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით" მისი მეორე წიგნია. იგი აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით და გამოსაცემად ამზადებს წიგნებს ვიქტორ ნოზაძის, ლეა ფლურის, რუთ ნოიკომის, ილია კუჭუხიძის, ალექსანდრე მანველიშვილისა და სხვათა წერილებით გაერთიანებულ სათაურში ,,ევროპიდან ამერიკამდე საქართველოზე ფიქრით", – ნათქვამია საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საგანგებო განცხადებაში.

13 თებერვალს წიგნის წარდგენას გაუძღვებიან წიგნის რედაქტორი, ფრანგული ენის სპეციალისტი სოფიკო ჯერვალიძე და რადიოპროგრამა ,,ჩვენი საგანძურის" ავტორი და წამყვანი ჟურნალისტი ივანე ჯაფარიძე.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში უკვე გაიმართა გიორგი სისაურის ახალი წიგნის ,,უსათაურო" წარდგინება. საღამოს უძღვებოდა დეკანოზი პეტრე კვარაცხელია. ღონისძიება საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. პოეტ ლაშა გახარიას საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში პოეზიის საღამო მიუძღვნეს. ამ ღონისძიებასაც დეკანოზი პეტრე კვარაცხელია უძღვებოდა.

10 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის პერსონალური გამოფენის დახურვა შედგა. გამოფენა მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლის იუბილეს.

– ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილ იქნა 37 ფერწერული ტილო, ასევე სხვადასხვა ტექნიკაში შესრულებული კოლაჟები და ფერადი აფიშები. ვლადიმერ კანდელაკი თბილისელია, მან თბილისის სამხატვრო აკადემიაში ისწავლა, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მის მიერ შესრულებული ფერწერული ნამუშევრები დაცულია სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში იგი მოღვაწეობდა ამერიკაში, სადაც ცნობილი კოლექციონერი ნორტონ დოჯი პერიოდულად იძენდა მის ფერწერულ ტილოებს, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს კოლექცია საჩუქრად გადაეცა როჯერსის მუზეუმს. ვლადიმერ კანდელაკის ნამუშევრები გამოფენილია გაეროსა და ვაშინგტონის საერთაშორისო მუზეუმში, – ამბობს ნათია გოგუაძე.

# ნინო ბურდულმა რეჟისორობა დაიწყო

ეკა ირემაშვილი

მსახიობმა ნინო ბურდულმა რეჟისორობა დაიწყო და 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს შეყვარებულ წყვილებს და არა მარტო მათ, პერმიერაზე



ეპატიჟება. ,,ამორ" – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც 15, 16 და 17 თებერვალს, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში იქნება წარმოდგენილი. ეს არის უცნაური სიყვარულის ისტორია პეტერ ჰირჰეს პიესის მიხედვით, რომლის თარგმანი, სცენოგრაფია, კოსტიუმები, მუსიკალური გაფორმება და დადგმა ნინო ბურდულს ეკუთვნის, ქორეოგრაფია – მარიამ ალექსიძეს, ტექნიკური რეჟისორი სოფიო ორჯონიკიძეა, სპექტაკლში კი მხოლოდ ორი მსახიობი მონაწილეობს – ქეთი ასათიანი და პაატა ინაური.

– გერმანელი მწერლის პეტერ ჰირჰეს პიესა „მსოფლიოში ყველაზე უცნაური სიყვარულის ისტორია" დაწერილია XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ადამიანები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის ტყვეობაში იყვნენ ემოციურად და ფსიქოლოგიურად. ალბათ სწორედ ამიტომ არის ასეთი მძაფრი სიყვარულის მონატრება, სიყვარული ამ პიესაში ნორმალურ, ადამიანურ ცხოვრებაში დაბრუნების სიმბოლოა, ცხოვრების არსი, რომელსაც თავისთავადი მნიშვნელობა აქვს და არ არის დამოკიდებული სოციალურ და პოლიტიკურ რეალიებზე. პიესა კონცენტრირებულია ქალისა და მამაკაცის მარადიულ ლტოლვაზე სიყვარულისკენ. ეს ლტოლვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თითოეული ცალკე აღებული წყვილის კონკრეტული სასიყვარულო ისტორია. ამიტომ ოცნებობენ ადამიანები სიყვარულზე, რომელიც სინამდვილეში არ გავს ხოლმე მათს ოცნებას, ამიტომ ეძებენ იდეალს და ხშირად გვერდზე მყოფს ვერ ხედავენ. სიუჟეტურად პიესა აგებულია ქალისა და მამაკაცის პარალელურ არსებობაზე. თითოეული მათგანი კონკრეტულ, რეალურ სიტუაციებში იმყოფება და ამავე დროს წარმოსახვით ამყარებს ურთიერთობას თავის „ოცნებასთან", შესაბამისად კონფლიქტებიც სხვადასხვა სიბრტყეზე ვითარდება და კონტრასტები ყოფაში ქმნის მიზიდულობას წარმოსახვაში და პირიქით. რეალისტურად დაწერილი პროზაული დიალოგი პოეტურ-ფილოსოფიურ ზემოქმედებას ახდენს და პერსონაჟების ორ განზომილებაში არსებობა მართლაც „უცნაურ" ისტორიას ქმნის. ქალი და მამაკაცი – იდეალი თუ რეალური ადამიანი? მარადიული ოცნება თუ ოცნების ასრულება? განხორციელებული სიყვარული თუ ლტოლვა სიყვარულისკენ? ყველას თავისი სიყვარულის ისტორია აქვს, ეს პიესაც ისტორიას მოგვითხრობს, ოღონდ ქალისა და მამაკაცის ყოფითი, რეალისტური, ტიპიური ურთიერთობების პარალელურად, სიყვარულზე ოცნების, სიყვარულის ძიების ისტორიას და პროვოკაციულად გვარწმუნებს, რომ მხოლოდ ადამიანზეა დამოკიდებული – დაიჯერებს, რომ იპოვა იდეალი, თუ ძებნას განაგრძობს. სპექტაკლი ჩაფიქრებულია, როგორც ექსკლუზიური საღამო ქალბატონებისთვის და ბატონებისთვის, – ამბობს რეჟისორი და მსახიობი ნინო ბურდული.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მსახიობი მაყურებელს რეჟისორის ამპლუაში ევლინება. მან რამდენიმე სპექტაკლი უკვე განახორციელა და საკმაოდ წარმატებულადაც. ნინო ბურდულმა საკუთარი რეჟისორული ხედვით გადაწყვიტა ჩეხოვის ,,თოლია", დადგა საგანგებო სპექტაკლი გივი მარგველაშვილის შემოქმედებაზე. ამჯერად კი მაყურებელს სასიყვარულო სპექტაკლის შესაფასებლად კინომსახიობთა თეატრში ეპატიჟება.


## განცხადებები

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

●ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში – სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# არმიამ ქუთაისში იმარჯვა, რუსთაველებმა რეკორდი დაამყარეს

**ქუთაისი – არმია 72:75**

(21:19; 19:15; 17:18; 15:23)

ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში გაიმართა და როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა.

პირველი მეოთხედი „ქუთაისმა“ ორი ქულით მოიგო – 21:19. ეს ყველაფერი მასპიძლებმა რიჩარდ მათიაშვილის აქტიური თამაშის წყალობით გავიდნენ. მეორე მეოთხედში მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. მათიაშვილს მხარი კარგად აუბეს ძმებმა ბარბაქაძეებმა და ბაბუნაშვილმა. ჩვეულად, სასარგებლოდ ირჯებოდა ბუბა კვიმსაძე და გასაკვირიც არ იყო, რომ ტაიმი „ქუთაისმა“ 40:34 მოიგო.

მესამე პერიოდი ისევ მასპინძლების უპირატესობით განახლდა და ქუთაისელებმა ათქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს, რაც ბაბუნაშვილის კარგი თამაშის წყალობით მოხდა – ზედიზედ ორჯერ ქუთაისელთა გამთამაშებელმა სამქულიანი ზუსტად გაისროლა. მეოთხედის ბოლომდე არმიელები მოწინააღმდეგესთან მიახლოებას ვერ ახერხებდნენ. პერიოდის დასრულებამდე ორი წუთით ადრე დაიწყო მასპინძელთათვის უსიამოვნო ექვსწუთიანი მონაკვეთი, როდესაც ქულის გაკეთება ვერ შეძლეს. მესამე მეოთხედის მიწურულიდან დაწყებული, როდესაც ანგარიში 57:47 გახდა ქუთათურთა სასარგებლოდ, დასკვნითი პერიოდის შუა ნაწილამდე არმიელებმა 14:0 მოიგეს. ამ „გაქცევის“ მთავარი შემოქმედები არმიელთაგან ფარლალავა და წივწივაძე იყვნენ.

მასპინძლებმა ძალები მოიკრიბეს და ბუბა კვიმსაძის ჩინებული თამაშის წყალობით ისევ მოახერხეს წინ გასვლა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა. თამაშის დასრულებამდე 23 წამით ადრე საკუთარ ფართან დაცვაში თამაშისას მათიაშვილი დაჯარიმდა, რომელსაც ნერვებმა უმტყუნა. შესაბამისად, იგი ტექნიკურით დაჯარიმდა. სწორედ ამ ფაქტმა გადაწყვიტა პაექრობის ბედი. მართალია, დარჩენილ დროში ქუთაისელმა კალათბურთელებმა გაიბრძოლეს, თუმცა მათ მატჩის ბედის შემოტრიალება ველარ შეძლეს.

მასპინძელთაგან რიჩარდ მათიაშვილმა გამოიჩინა თავი, რომელმაც გუნდს 27 ქულა, 10 მოხსნა, ხოლო არმიელთაგან საუკეთესო ლაშა ფარლალავა იყო – 20 ქულა.

**მატჩის შემდეგ:**

**კოტე ტუღუში (არმია):**

– უაღრესად დაძაბული მატჩი შედგა. მსურს მადლობა გადავუხადო ქუთაისის გუნდს ასეთი კარგი თამაშისთვის. განსაკუთრებული მადლობა ქუთაისის გულშემატკივარს, რომელთა აქტიური ქომაგობით დარბაზში არაჩვეულებრივი საკალათბურთო ატმოსფერო შეიქმნა. დიდი მადლობა ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშეს, რომლებიც ბოლომდე დაიხარჯნენ და მაქსიმუმი გაიღეს. დღეს ჩვენ ერთიანობისა და გუნდურობის ხარჯზე მოვიგეთ და იმედია ეს წარმატება ჩვენი სამომავლო გამარჯვებების დასაწყისი იქნება. საბედნიეროდ, მატჩის ბოლო წამებზე მეტოქესთან შედარებით ნაკლები შეცდომა დავუშვით. მათიაშვილის ტექნიკურმა ჯარიმამ ხელი დიდად შეგვიწყო, თუმცაცალა აღსანიშნავია ისიც, რომ 4-დან მხოლოდ 2 საჯარიმო სროლა გამოვიყენეთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქუთაისის გულშემატკივარს, რომელთა მხარადჭერამ თამაშს განასაკუთრებული ხიბლი შესძინა.

**დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):**

– თამაში კარგად დავიწყეთ და თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე მეტოქეზე წინ ვიყავით, თუმცა მატჩის მიწურულს არმიამ ჩვენზე უკეთ იასპარეზა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ვფიქრობ, რიჩარდ მათიაშვილის ტექნიკურმა ჯარიმამ თამაშის შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. გადამწყვეტ მომენტში სამწუხაროდ არ გაგვიმართლა და საბოლოოდ შეხვედრა 3 ქულის სხვაობით დავთმეთ. მთლიანობაში ბიჭების თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. დაცვაში კარგად ვიასპარეზეთ და თამაშსაც მეტნაკლებად ვაკონტროლებდით. ვფიქრობ, მარცხის ერთ-ერთი მიზეზი მოთამაშეების ავადმყოფობაც გახდა. იმედია გამოვასწორებთ ხარვეზებს და მომავალ მატჩებში ბევრად უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

**სოხუმი – შსს-აკადემია 56:59**

(14:16; 17:20; 16:13; 9:10)

არანაკლებ საინტერესო გამოდგა ეს მატჩიც. შედეგი იმაზე მიანიშნებს, რომ სუპერლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ლიდერ გუნდს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია. მეტიც: სოხუმელებს მოგებამდე ერთი შედეგიანი შეტევა დააკლდათ.

ძნელი სათქმელია, ერთმა მოთამაშემ „სოხუმს“ იმხელა ძალა შემატა, რომ თასის გათამაშების ტრიუმფატორ შსს-ს ტოლსწორად ეთამაშა. არადა, ვაჟა კვარაცხელიას გუნდს წინა შეხვედრისგან განსხვავებით მხოლოდ 1 ახალი კალათბურთელი ჰყავდა – სერბი ლეგიონერი ბოშკო სტოიაკოვიჩი. ბალკანელი უკანახაზელი მართლაც კარგი მოთამაშეა, მაგრამ „სოხუმმა“ რომ მძლავრი მატჩი ჩაატარა, გუნდური თამაშის დამსახურებაა.

პირველივე წუთებიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. სოხუმელები ტოლს არაფერში უდებდნენ მეტოქეს და წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ. მესამე მეოთხედში კვარაცხელიას გუნდი მეტოქეს წამოეწია და ამის შემდეგ თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. შეხვედრის ბოლო წუთებამდე ბრძოლა ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე კირკ არჩიბექის ორქულიანის შემდეგ „შსს-აკადემია“ 57:53 დაწინაურდა, რასაც ირაკლი ჩლაიძემ 3-ქულიანით უპასუხა და სოხუმელთა ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა.

მომდევნო შეტევაში შსს-ელებმა ბურთი დაკარგეს და სოხუმელებს შესატევად 15 წამი დარჩათ. შეტევა რომ შედეგიანად დაესრულებინათ, სოხუმელები გამარჯვებას თითქმის გაინაღდებდნენ, თუმცა სტოიაკოვიჩის პასი აკადემიელთა გამთამაშებელმა დენოთა ვონმა ჩაჭრა და კირკ არჩიბექმა შსს-ს გამარჯვების ბურთი მოხდენილად ჩატენა.

გამარჯვებულებს 13 ქულითა და 10 მოხსნით სწორედ არჩიბექმა ულიდერა. შსს-ელთაგან 10-ქულიანი ზღვარი კიდევ ოთხმა კალათბურთელმა დაძლია. რაც შეეხებათ სოხუმელებს, საუკეთესო სერგო ათუაშვილი გახლდათ, რომელმაც 20 ქულასთან ერთად 14 მოხსნაც მიითვალა. ახალწვეულმა ბოშკო სტოიაკოვიჩმა შეხვედრა 13 ქულითა და 5 პასით დაასრულა.

**მატჩის შემდეგ:**

გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):

– ძალიან რთული თამაში მოვიგეთ. გამარჯვება დაცვაში კარგი თამაშის ხარჯზე მოვიპოვეთ, შეტევაში კი ბევრი ხარვეზი გვქონდა. სოხუმი ახალგაზრდა გუნდია და მისი ასპარეზობა ძალინ მომწონს. წარმატებას ვუსურვებ მომავალში. საინტერესოა, რატომ გვექმნება სოხუმთან ყველა მატჩში პრობლემა. ჩვენ ახლა საქართველოს თასის მფლობელები ვართ, შესაბამისად, მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრება და ბევრად უფრო კარგი თამაში მოგვეთხოვება.

**ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):**

– ვულოცავ მეტოქეს დღევანდელ გამარჯვებას, შსს აკადემია მართლაც ბრწყინვალე გუნდია. შარშან პლეი ოფში ორჯერ ვეთამაშეთ ამ გუნდს და გამარჯვება მოვიპოვეთ. ალბათ ამ ფსიქოლოგიური უპირატესობის დამსახურებაა ის, რომ შსს აკადემიასთან ყოველთვის კარგად ვასპარეზობთ.

აკაკი ლომოური (შსს აკადემია):



– ვულოცავ „სოხუმს“ წარმატებულ თამაშს, რაც შეგვეხება ჩვენ, მიხარია, რომ ამ გუნდში ვარ. აქ ყველას ჩვენი ადგილი და როლი გვაქვს და მაქსიმალურად ვიხარჯებით.

**ბოსკო სტოიაკოვიჩი (სოხუმი):**

– ორი დღეა, რაც თბილისში ვიმყოფები. გუნდთან ერთად პირველად გუშინ ვივარჯიშე. მიუხედავად მარცხისა, დღევანდელი მატჩით კმაყოფილი ვარ, რადგან ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ გუნდს ვეთამაშეთ. თანდათან კიდევ უფრო შევთამაშდები გუნდთან და მომავალ მატჩებში უკეთეს შედეგს ვაჩვენებთ.

**თსსუ – რუსთავი 74:126**

(12:31; 18:21;16:38; 28:36)

სამედიცინო უნივერსიტეტისა და რუსთავის გუნდების შეხვედრა საინტერესო რეკორდების თვალსაზრისით გამოდგა. მატჩში იმდენი ბურთი ჩავარდა, რომ ერთბაშად რამდენიმე რეკორდი გაუმჯობესდა.

ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა აუტსაიდერი თსსუ 126:74 დაამარცხა და თავად ეს შედეგი მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდია.

200 ქულა მიმდინარე სუპერლიგის არც ერთ შეხვედრაში არ ჩავარდნილა. ერთი გუნდის მიერ მოგროვილი 126 ქულაც რეკორდია. რუსთაველთა მიერ ჯამში ჩაგდებული 20 სამქულიანი კი მართლაც გამორჩეული რეკორდია. 4 დღის წინ სამქულიანების რეკორდი ნბა-ში დამყარდა, როცა „ჰიუსტონმა“ „გოლდენ სტეიტს“ 23 შორი ტყორცნა ჩაუგდო. მოგეხსენებათ, ამერიკის პროფესიულ ლიგაში მატჩების ხანგრძლივობა 48 წუთია – ანუ ჩვეულებრივზე 8 წუთით მეტი. რუსთაველებმა კი 40 წუთში ნბა-ს რეკორდზე 3-ით ნაკლები სამიანი ჩააგდეს, რაც თავისთავად გამორჩეული შედეგია.

ქვემოქართლურ გუნდში შორი სროლებით ამერიკელი ლეგიონერები – ნეით ბოუი და ომარ ვატადი გამოირჩნენ. ბოუიმ სულაც 6-დან 6 სამიანი ჩააგდო, ხოლო ვატადს ამდენივეს ჩასაგდებად 9 ტყორცნა დასჭირდა. სროლათა გამორჩეული პროცენტულობა ჰქონდა კიდევ ერთ ამერიკელ კაილ ნელსონს, რომელმაც 8-დან 8 ორქულიანი ჩააგდო. საბოლოოდ სამივე ამერიკელმა 20-ქულიან ზღვარს მიაღწია: ბოუი – 26, ნელსონი – 25, ვატადი – 20. ქართველთაგან კი საუკეთესო დავით გუგავა გახლდათ, რომელიც სარეზერვო ცენტრია, მაგრამ მეტოქის სისუსტიდან გამომდინარე თავის გამოჩენის შანსი მიეცა. გუგავას ანგარიშზე 14 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. რაც შეეხებათ დამარცხებულებს, 17 ქულით საუკეთესო ზურა მაისურაძე გახლდათ, ხოლო დავით არწივიძემ 12 დააგროვა.

**მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი):**

– გავიგე, რომ სამედიცინოს პრობლემები აქვს და ვუსურვებ მოგვარებას. ბევრი ახალგაზრდა კალათბურთელია, მათ პრაქტიკა სჭირდებათ და კარგი იქნება, რომ ბოლომდე შენარჩუნდეს ეს გუნდი.

**თენგიზ ფიცხელაური (სამედიცინო):**

– ვულოცავ გამარჯვებას რუსთავს, ძალიან კარგად იასპარეზეს. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, სუსტად ვითამაშეთ და მეტოქეს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ. ჩვენს გუნდში ფინანსებთან დაკავშირებით არის გაურკვეველი სიტუაცია, იმედი გვაქვს, ეს საკითხი უახლოეს მომავალში ჩვენს სასიკეთოდ გადაწყდება.

**გოგა ცეკვავა (რუსთავი):**

– ჩვენთვის იოლი მატჩი გამოდგა და მეტოქე დიდი ანგარიშით დავამარცხეთ. იმედია მომავალში სამედიცინო პრობლემებს მოაგვარებს და გაძლიერდება.

**ილია შიოლაშვილი (თსსუ):**

– გუნდში შექმნილი პრობლემების გამო სათანადოდ ვერ ვასპარეზობთ და იმედია არსებული სიტუაცია უახლოეს მომავალში გამოსწორდება.

**დინამო – ბათუმი 72:48**

(16:17; 17:8; 15:7; 24:16)

მატჩში გამარჯვება ფავორიტად მიჩნეულ დინამოელებს დარჩათ. საბოლოო ანგარიშიდან ჩანს, რომ ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა იოლად მოიგო, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბათუმელებმა თავიდან რიგიანად ითამაშეს და პირველ ტაიმში უმეტესად წინ იყვნენ. პირველი მეოთხედი ზღვისპირელებმა 17:16 მოიგეს, ხოლო მეორე პერიოდის დასაწყისშიც წინ იყვნენ, თუმცა სწორედ ამ მომენტში მოახერხეს დინამოელებმა შეხვედრაში გარდატეხის შეტანა. გუნდური თამაშის წყალობით თბილისურმა გუნდმა ლიდერობა მოიპოვა, მეოთხედი 17:8 მოიგო და დარჩენილ დროში უპირატესობა მხოლოდ მასპინძელთა სასარგებლოდ იზრდებოდა.

საბოლოოდ „დინამომ“ 24-ქულიანი გამარჯვება მოიპოვა. მასპინძელთაგან 19 ქულით საუკეთესო ფლინ კლაიმენი გახდა, ხოლო გამოჯანმრთელებულმა მილან ოლუიჩმა 16 ქულა-10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. ბათუმელთა გუნდში 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ ლაშა კეშელავამ დაძლია, რომელმაც პირად ანგარიშზე 19 ქულა ჩაიწერა. კეშელავას 1 მოხსნა დააკლდა ორმაგ დუბლამდე.

**ირაკლი ხოშტარია (დინამო):**

– კარგი თამაში იყო, გამომდინარე იქიდან, რომ მომეცა საშუალება თითქმის ყველა მოთამაშეს მიეღო მონაწილეობა. პირველი ნახევრით არ ვარ კმაყოფილი, თუმცა შემდეგ ნელნელა გამოვასწორეთ. ვფიქრობ, შეხვედრა მოვიგეთ უკეთესი შემადგენლობის ხარჯზე, ვიდრე ბათუმს ჰყავს.

**მიხეილ კობეშავიძე (ბათუმი):**

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი. ფინალი**

ნიგერია-ბურკინა ფასო ............... 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ვესტ ჰემი ................ 2:1
მანჩესტერი-ევერტონი ................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 26 | 21 | 2 | 3 | 62:31 | 65 |
| 2.სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48:24 | 53 |
| 3.ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55:28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44:30 | 48 |
| 5.არსენალი | 26 | 12 | 8 | 6 | 50:29 | 44 |
| 6.ევერტონი | 26 | 10 | 12 | 4 | 40:32 | 42 |
| 7.სუონსი | 26 | 9 | 10 | 7 | 38:29 | 37 |
| 8.ლივერპული | 25 | 9 | 9 | 7 | 44:32 | 36 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 10 | 4 | 11 | 34:35 | 34 |
| 10.სტოკი | 26 | 7 | 12 | 7 | 26:31 | 33 |
| 11.ვესტ ჰემი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:38 | 30 |
| 12.ფულემი | 26 | 7 | 8 | 11 | 36:42 | 29 |
| 13.სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 28:34 | 29 |
| 14.ნორვიჩი | 26 | 6 | 11 | 9 | 25:40 | 29 |
| 15.ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:46 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36:45 | 27 |
| 17.ასტონ ვილა | 26 | 5 | 9 | 12 | 25:50 | 24 |
| 18.რედინგი | 26 | 5 | 8 | 13 | 33:48 | 23 |
| 19.უიგანი | 26 | 5 | 6 | 15 | 30:51 | 21 |
| 20.ქპრ | 26 | 2 | 11 | 13 | 19:41 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-ხეტაფე ...................... 6:1
სარაგოსა-სოსიედადი ................. 1:2
ბილბაო-ესპანიოლი ...................... 0:4
რაიო-ატლეტიკო ......................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 78:26 | 62 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44:23 | 50 |
| 3.რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58:22 | 46 |
| 4.მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 34:21 | 39 |
| 5.ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32:35 | 37 |
| 6.რაიო | 23 | 12 | 1 | 10 | 33:39 | 37 |
| 7.სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37:29 | 36 |
| 8.ბეტისი | 22 | 11 | 2 | 9 | 31:34 | 35 |
| 9.ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29:35 | 33 |
| 10.ვალიადოლიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:29 | 29 |
| 11.სევილია | 23 | 8 | 5 | 10 | 30:34 | 29 |
| 12.ხეტაფე | 23 | 8 | 5 | 10 | 31:40 | 29 |
| 13.ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30:34 | 28 |
| 14.გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22:32 | 26 |
| 15.ბილბაო | 23 | 7 | 5 | 11 | 29:45 | 26 |
| 16.სარაგოსა | 23 | 7 | 3 | 13 | 22:33 | 24 |
| 17.ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19:27 | 22 |
| 18.სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21:28 | 20 |
| 19.მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23:43 | 18 |
| 20.დეპორტივო | 23 | 3 | 7 | 13 | 27:51 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-მირანდესი ..................... 0:0
ალკორკონი-ლას პალმასი ............ 3:1

**იტალია. სერია ა**

პარმა-ჯენოა ................................... 0:0
ატალანტა-კატანია ......................... 0:0
ბოლონია-სიენა ............................. 1:1
კალიარი-მილანი ............................ 1:1
პალერმო-პესკარა .......................... 1:1
სამპდორია-რომა ............................ 3:1
უდინეზე-ტორინო ............................ 1:0
ინტერი-კიევო ................................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 24 | 17 | 4 | 3 | 50:16 | 55 |
| 2.ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 46:21 | 50 |
| 3.ლაციო | 24 | 14 | 5 | 6 | 35:26 | 44 |
| 4.ინტერი | 24 | 13 | 4 | 7 | 39:29 | 43 |
| 5.მილანი | 24 | 12 | 5 | 7 | 42:30 | 41 |
| 6.ფიორენტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 41:29 | 39 |
| 7.უდინეზე | 24 | 9 | 9 | 6 | 35:33 | 36 |
| 8.კატანია | 24 | 10 | 6 | 8 | 31:30 | 36 |
| 9.რომა | 24 | 10 | 4 | 10 | 50:45 | 34 |
| 10.პარმა | 24 | 8 | 8 | 8 | 30:31 | 32 |
| 11.სამპდორია | 24 | 8 | 5 | 11 | 31:30 | 28 |
| 12.ტორინო | 24 | 6 | 11 | 7 | 27:27 | 28 |
| 13.კიევო | 24 | 8 | 4 | 12 | 25:39 | 28 |
| 14.ატალანტა | 24 | 8 | 5 | 11 | 21:33 | 27 |
| 15.ბოლონია | 24 | 7 | 5 | 12 | 33:34 | 26 |
| 16.კალიარი | 24 | 6 | 7 | 11 | 26:41 | 25 |
| 17.ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 25:37 | 22 |
| 18.პესკარა | 24 | 6 | 3 | 15 | 20:49 | 21 |
| 19.სიენა | 24 | 6 | 6 | 12 | 24:34 | 18 |
| 20.პალერმო | 24 | 3 | 9 | 12 | 21:38 | 17 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-მაინცი ......................... 1:1
ფრაიბურგი-ფორტუნა ................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 17 | 3 | 1 | 55:7 | 54 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 11 | 6 | 4 | 47:26 | 39 |
| 3.ლევერკუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 41:29 | 38 |
| 4.აინტრახტი | 21 | 11 | 4 | 6 | 38:31 | 37 |
| 5.ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 26:20 | 31 |
| 6.მაინცი | 21 | 9 | 4 | 8 | 28:25 | 31 |
| 7.ჰამბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 26:27 | 31 |
| 8.გლადბახი | 21 | 7 | 9 | 5 | 31:32 | 30 |
| 9.ჰანოვერი | 21 | 9 | 2 | 10 | 39:39 | 29 |
| 10.შალკე | 21 | 8 | 5 | 8 | 33:35 | 29 |
| 11.ვერდერი | 21 | 8 | 4 | 9 | 36:38 | 28 |
| 12.ვოლფსბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 22:30 | 26 |
| 13.ნიურნბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 20:27 | 25 |
| 14.შტუტგარტი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:39 | 25 |
| 15.ფორტუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 26:29 | 24 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 21 | 4 | 4 | 13 | 26:45 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 21 | 2 | 9 | 10 | 17:33 | 15 |
| 18.ფიურტი | 21 | 2 | 6 | 13 | 13:35 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-პადერბორნი .......... 1:3
ზანდჰაუზენი-ზანკტ პაული ......... 4:1
ბოხუმი-რეგენსბურგი ................... 0:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ევიანი-მარსელი ............................ 1:1
რენი-ტულუზა ................................ 2:0
ლიონი-ლილი ................................. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 45:13 | 51 |
| 2.ლიონი | 24 | 13 | 6 | 5 | 39:24 | 45 |
| 3.მარსელი | 24 | 13 | 4 | 7 | 31:29 | 43 |
| 4.სენტ ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36:18 | 40 |
| 5.რენი | 24 | 12 | 4 | 8 | 37:30 | 40 |
| 6.ნიცა | 24 | 10 | 9 | 5 | 36:28 | 39 |
| 7.ბორდო | 24 | 9 | 11 | 4 | 26:16 | 38 |
| 8.ლორიენი | 24 | 9 | 9 | 6 | 39:38 | 36 |
| 9.მონპელიე | 24 | 10 | 5 | 9 | 39:32 | 35 |
| 10.ლილი | 24 | 8 | 10 | 6 | 29:25 | 34 |
| 11.ვალანსიენი | 24 | 9 | 6 | 9 | 34:35 | 33 |
| 12.ტულუზა | 24 | 8 | 7 | 9 | 30:30 | 31 |
| 13.აიაჩო | 24 | 7 | 9 | 8 | 27:32 | 28 |
| 14.ბასტია | 24 | 7 | 5 | 12 | 29:50 | 26 |
| 15.ბრესტი | 24 | 7 | 3 | 14 | 24:35 | 24 |
| 16.რეიმსი | 24 | 5 | 8 | 11 | 21:28 | 23 |
| 17.სოშო | 24 | 6 | 5 | 13 | 22:34 | 23 |
| 18.ევიანი | 24 | 5 | 8 | 11 | 22:36 | 23 |
| 19.ტრუა | 24 | 3 | 9 | 12 | 26:44 | 18 |
| 20.ნანსი | 24 | 3 | 9 | 12 | 22:40 | 18 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ფეინოორდი-ალკმაარი ................. 3:1
ზვოლე-ტვენტე .............................. 1:1
აიაქსი-როდა ................................. 1:1
უტრეხტი-ნაიმეგენი ....................... 0:3

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**

ვოლენდამი-ტელსტარი ................. 6:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

აკადემიკა-რიუ ავე ........................ 1:2
სეტუბალი-ჟილ ვისენტე ............... 1:0
მორეირენსე-ბეირა მარი .............. 3:0
სპორტინგი-მარიტიმუ ................... 0:1
ნასიონალი-ბენფიკა ...................... 2:2
პორტუ-ოლჰანენსე ........................ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-ლოზანა ........................... 2:0
ბაზელი-სიონი ............................... 3:0

**ბელგია. პროლიგა**

სტანდარდი-მონსი ......................... 0:1
ბევერენი-ანდერლეხტი ................. 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-იანინა ........................ 0:1
კერკირა-აეკი ................................. 0:1
პანთრათიკოსი-ლევადიაკოსი ..... 3:0
პანათინაიკოსი-ქსანთი ................. 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ტრაბზონი ........................... 2:0
ქაისერი-ორდუ .............................. 0:0
მერსინი-ფენერბახჩე ..................... 0:1
გალათასარაი-ანთალია ................. 2:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ნიუ იორკი-კლიპერსი .............. 88:102
მაიამი-ლეიკერსი ..................... 107:97
ბოსტონი-დენვერი ....... 118:114(3ოტ)
მემფისი-მინესოტა ................... 105:88
ორლანდო-პორტლენდი ........ 110:104
ტორონტო-ნიუ ორლეანი ........ 102:89
ბრუკლინი-სან ანტონიო .......... 86:111
საკრამენტო-ჰიუსტონი ......... 117:111

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

დეტროიტი-ლოს ანჯელესი ......... 3:2
კოლამბუსი-ედმონტონი ............. 1:3
ბუფალო-ბოსტონი ...................... 1:3
რეინჯერსი-ტამპა ბეი ................. 5:1
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი ............... 1:3
ნეშვილი-ჩიკაგო ........................ 0:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ურბანულ მემკვიდრეობას კონფერენცია მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" „ტფილისის ჰამქარმა" გამართა კონფერენცია სახელწოდებით „ურბანული მემკვიდრეობა პრობლემები და პერსპექტივები". კონფერენცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო პროექტის „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამა საქართველოში" ფარგლებში.



კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, ურბანული მემკვიდრეობის ექსპერტები, არქიტექტორები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. კონფერენციის მსვლელობის პარალელურად გაიმართა ფოტოგამოფენა „ალმაშენებლის გამზირის რეაბილიტაცია", სადაც წარმოდგენილი იყო ფოტოები ალმაშენებლის გამზირის რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.

— ამ კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა, შეეფასებინა კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის კუთხით განხორციელებული პროცესები თბილისის, ბათუმის და თელავის მაგალითზე, წარმოეჩინა არსებული პრობლემატიკა და პერსპექტივები ურბანული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, რათა ხელი შეეწყოს ისტორიული ქალაქების სწორი მართვის სისტემის შემუშავებას. კონფერენციაზე კონკრეტული მაგალითების საფუძველზე წარმოჩნდა ის პრობლემატიკა, რომელიც არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ საქართველოში დადგა რეაბილიტაციის შემდეგ. ჩვენი მთავარი მიზანია ასევე თუნდაც ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის მატარებელმა ადამიანებმა დააფიქსირონ აზრი, რომ შემდეგ არ განხოცირლდეს ისევ ფორსირებული ტემპის რეაბილიტაციები, რომელიც აქამდე ყველა ქალაქში მივიღეთ. თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ე.წ. რესტავრაციების შემდეგ ისტორიული იერი რადიკალურად შეიცვალა. ამ ეტაპზე მხოლოდ ალმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციაზე გავაკეთეთ აქცენტი. ჩვენ მიერ მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილ ფოტოებზეც კარგად ჩანს, როგორი დარღვევებია. ალმაშენებლის გამზირმა სწრაფი, არასათანადო და არათანმიმდევრული რესტავრაცით ღირებულება დაკარგა. რესტავრაცია ზუსტ გამეორებას გულისხმობს იმისა, რაც იყო, რაც ამ გამზირზე გააკეთეს, იმას სხვა რამე ჰქვია. არათანმიმდევრულმა რესტავრაციამ ხარვეზები წარმოშვა და დიდი ღირებულება დაკარგა ალმაშენებლის გამზირმა სწრაფი რესტავრაციის პერიოდში, თუმცა ეს რესტავრაციაც არ არის, რადგან რესტავრაცია გულისხმობს ზუსტ გამეორებას, რაც იყო, ამ შემთხვევაში ზუსტ გამეორებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ისეა ფასადი შეცვლილი, ხშირად ვერც კი იცნობთ ძველ ადგილებს. ეს კონფერენცია ჩატარდა აღმოსავლეთ-დასავლეთ ინსტიტუტისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, — აღნიშნა ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელმა.

კონფერენციაში ჩაერთნენ როგორც არქიტექტორრესტავრატორები, ასევე ხელოვნებათმცოდნეები, პრაქტიკოსი არქიტექტორები, რომლებიც მუშაობენ ძველ თბილისში. საუბარი შეეხებოდა თბილისში განხორციელებულ რესტავრაციებს, მათ პრობლემებს და ამ პრობლემების გადაჭრის გზებს. მათი თქმით, ამ დროისთვის თბილისში მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა, რადგან მთელი ამ წლების განმავლობაში სამუშაოები ძველ თბილისში მიმდინარეობდა არა სათანადო სამეცნიერო და სახელოვნებათმცოდნეო დასაბუთებით.

— აუცილებელია გაიხსნას დებატები, ყველანი ერთად დავსხდეთ და ვისაუბროთ, განვსაზღვროთ რა უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯი, როგორ უნდა განვითარდეს ისტორიული ქალაქი, როგორი უნდა იყოს სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მომავალში უნდა ვიმუშავოთ, რომ იგივე შეცდომები აღარ გავიმეოროთ, — განაცხადა თამარ ამაშუკელმა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის მარინე მიზანდარის თქმით:

— ჩვენ მაქსიმალურად მოვახერხებთ ბევრი რამის გამოსწორებას. შესაძლოა ყველაფერი ისე ვერ გამოვასწოროთ, როგორც ვისურვებდით, მაგრამ რაღაც პროცესებს გავაჩერებთ, სხვა გეზს მივცემთ, რაც ჩვენთვის სასურველი და მისაღებია. ამ ყველაფერს იმიტომ გავაკეთებთ, რომ შევინარჩუნოთ და გადავარჩინოთ ის ფასეული, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, არც წინაპრებმა დაგვიტოვეს. მათი დაკარგვის უფლება არ გვაქვს, რადგან ის ჩვენს მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ. ჩვენ მსგავს შეკრებებს სისტემატურად გავმართავთ, რადგან თბილისის გარდა, სავალალო მდგომარეობაა მცხეთაში, თელავში და ბათუმში. კულტურის სამინისტრომ ჩაუყარა საფუძველი შეხვედრებს და ეს მომავალში აუცილებლად გაგრძელდება.

# უმათურმანი თბილისში იმღერებს

ეკა ირემაშვილი




14 თებერვალს, სიყვარულის დღეს თბილისში რუსული ჯგუფი „უმათურმანი" ჩამოვა და სპეციალურად ამ დღისთვის კონცერტს გამართავს.

— სიყვარულის დღეს სპეციალურად ქართველი მსმენელისათვის გრანდიოზული კონცერტის ჩასატარებლად ჯგუფის „უმათურმანი" სოლისტები საქართველოში ჩამოვლენ. 14 თებერვალს სოლო კონცერტი თბილისის ივენთ ჰოლში საღამოს 9 საათზე დაიწყება, ძმები კრისტოვსკები შეასრულებენ როგორც ყველასათვის ცნობილ და საყვარელ ჰიტებს, ასევე, უამრავ ახალ სიმღერას და ბევრი სიურპრიზით წარდგებიან მსმენელის წინაშე. ღონისძიების „აფთერ ფართი" სასტუმრო რადისონში გაიმართება, სადაც საღამოს გაუძღვება ვახო კანდელაკი. ამ ღონისძიებაზე ყველასათვის საყვარელ ჰიტებს შეასრულებს გიორგი სუხიტაშვილი და საღამოს მუსიკალურად გააფორმებს პაატა ანდრიაძის ბენდი, რომლის შემადგენლობაშიც არიან გიორგი სუხიტაშვილი (ვოკალი), პაატა ანდრიაძე (პიანო), გიორგი სადაღაშვილი (დრამი), ნოდარ ექვთიმიშვილი (ბასი), ირაკლი მენთეშაშვილი (სინთეზატორი) და დიჯეი ქასრა. მოწვეული სტუმრებისათვის საღამოს გააგრძელებენ ჯგუფის სოლისტები ძმები კრისტოვსკები, — ნათქვამია კონცერტის ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

„უმათურმანის" კონცერტი ახლად შექმნილი კომპანია ჯოი ფრომოუშენის ორგანიზებით ტარდება. ახალგაზრდა მეგობრების მიერ შექმნილი კომპანიის მიზანია საქართველოს ყველა ასაკისა და გემოვნების მსმენელის სურვილების შესრულება. ჯოი ფრომოუშენი მომავალშიც უამრავ სიურპრიზს ჰპირდება ქართველ მსმენელს, თუმცა ვინ იქნება მათი მომდევნო ღონისძიების სტუმარი საქართველოში, ამის დაკონკრეტებას ჯერ არ ჩქარობენ.

რუსული ჯგუფი საქართველში პირველად არ ჩამოდის. ისინი შარშან აგვისტოში ბათუმს სტუმრობდნენ, სადაც მათ კონცერტი კომპლექს „მაგნოლიას" ეზოში ჩაატარეს. კონცერტის ორგანიზატორი „ემ ეს კომპანი" იყო და მაშინ ბილეთების ღირებულება 50-120 ლარით განისაზღვრა. ბათუმში ჯგუფის კონცერტი დაგეგმილზე ნახევარი საათით მეტხანს, დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. საკონცერტო რეპერტუარში იყო როგორც ცნობილი ჰიტები, ასევე რამდენიმე ახალი სიმღერაც. საღამომ ოვაციების ფონზე ჩაიარა. ჯგუფის სოლისტებმა, მაყურებლის თხოვნით, დამატებით 5 სიმღერა შეასრულეს. პირველი კონცერტით კმაყოფილი „უმათურმანის" წევრებმა მაშინვე განაცხადეს, რომ ქართველი პუბლიკით კმაყოფილები იყვნენ და საქართველოში აუცილებლად დაბრუნდებოდნენ. მაშინ გამოირკვა, რომ „უმათურმანს" საქართველო გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა და ბათუმში კონცერტის ჩასატარებლად მათ ორგანიზატორებმა ორმაგი ჰონორარი — 50.000 დოლარი გადაუხადეს. მაშინ პროდიუსერმა ეკა ჩიტაშვილმაც განაცხადა, რომ ორი წლის განმავლობაში თავადაც არაერთხელ შეეცადა ამ ჯგუფის საქართველოში ჩამოყვანას, მაგრამ უშედეგოდ. ჯგუფის დირექტორმა ქართველ პროდიუსერს პირდაპირ განუცხადა, რომ ყველა ქვეყანაში იმღერებდნენ საქართველოს გარდა. როგორც ჩანს, „უმათურმანი" სიტყვის პატრონი არ არის, რადგან მათ უკვე მეორედ უწევთ საქართველოში კონცერტის ჩატარება. რამდენია რუსული ჯგუფის წევრების ჰონორარი, ამჯერდაც უცნობია, თუმცა კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი საკმაოდ მსუყედ გამოიყურება — 14 თებერვალს გამართულ უმათურმანის ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთის ფასი 150 ლარია.

# სანდენსის კინოფესტივალზე გამარჯვებული ფილმი თბილისში აჩვენეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რომ ქართველი რეჟისორის თინათინ გურჩიანის ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. ფილმმა ჯილდო საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღო. „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" არის კინოში გადაღების მსურველთა ჩანაწერებით შექმნილი ფილმი, სადაც თითოეული გმირი რეალურია და თავის ამბავს მოგვითხრობს. ფილმი 13 ჩანაწერისგან შედგება. 13 ადამიანი სულისშემძვრელად, მხიარულად ან უბრალოდ, საინტერესოდ მოგვითხრობს თავისი ცხოვრების შესახებ. „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" 97 წუთიანი დოკუმენტური ფილმია. ახალგაზრდა რეჟისორის ფილმი იმაზე, თუ რა ლამაზი ან რთული შეიძლება იყოს ცხოვრება, როდესაც გმირობაზე ოცნებობ. ფილმი სიყვარულზე, იმედგაცრუებაზე, ომსა და ოცნებაზეა, — განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

ფილმის გერმანული პრემიერა ლაიფციგის დოკუმენტური კინოს ფესტივალზე გაიმართა, საერთაშორისო პრემიერას კი ამსტერდამის დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალმა უმასპინძლა, სადაც ფილმი წარდგენილი იყო საუკეთესო დებიუტის, ახალგაზრდობისათვის შექმნილი საუკეთესო ფილმის და მაყურებლის პრიზის ნომინაციებში. ამსტერდამის დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალი დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი უდიდესი და წამყვანი ფესტივალია მსოფლიოში, მას ყოველწლიურად 120.000-მდე კინომცოდნე, კინოს პროფესიონალი და კინომოყვარული სტუმრობს. ფილმი ასევე მოხვდა სანდენსის კინოფესტივალის ოფიციალურ კონკურსში.

თინათინ გურჩიანის ფილმმა „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს", თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ქართულ პანორამაშიც იყო წარმოდგენილი. მისი ფილმი საუკეთესო ქართულ ფილმად აღიარეს. ამ სექციაში გამარჯვების შედეგად კი თინათინ გურჩიანმა პრიზი მოიპოვა — რეჟისორის გოტებურგის საერთაშორისო ფესტივალზე გამგზავრება დაიგეგმა. თბილისის მე-13 საერათაშორისო კინოფესტივალი ტრადიციულად ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაიმართა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2. ბრიტანული ყველი; 3. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 5. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 6. ქვის ხავსი; 8. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 11. დოლი გრძელ დისტანციაზე დაბრკოლებათა გადალახვით; 13. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 14. აზოტმჟავას მარილი; 15. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 19. ინგლისელი მწერალი „რობინზონ კრუზოს" ავტორი.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 4. ხორბლის ქართული ჯიში; 7. რბილი, გლუვი ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 9. ქართული ჟურნალი; 10. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ბერძნული ფილოლოგიის მკვლევარი სპეციალისტი; 16. აეროპორტი ბუდაპეშტში; 17. თურქეთის პარლამენტი; 18. გასართობი თავსატეხი; 20. სტიბიუმის საბადო რაჭაში; 21. ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 22. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. კანაფი; 8. ფლებიტი; 9. ეშელონი; 10. დიზურია; 12. მედიე; 13. აბელი; 14. კლიმაქსი; 19. მაგნიტი; 21. პარიზი; 23. ფლავი; 24. აპრილი; 25. ოლივინი; 26. ნისტგამი.

**შვეულად:** 1. აკლდამა; 2. კლიროსი; 3. ეტიუდი; 4. პრესა; 5. კანცლერი; 7. ფარ; 11. იუმორი; 15. ვაგზალი; 16. ნავახა; 17. ლამპა; 18. იფანი; 20. ტოკიო; 22. ზოლა.

### სკანვორდის პასუხები:

1. ბასილა; 2. გიიომ; 3. სიო; 4. მთა; 5. ორთი; 6. გეა; 7. ოპერა; 8. რე; 9. მტერი; 10. ლიმონი; 11. ისანი; 12. ბეი; 13. ცრემლი; 14. პან; 15. სი; 16. იდო; 17. რევიუ; 18. საიდუმლო; 19. კეფირი; 20. ასესორი; 21. კუ; 22. ვო; 23. ძუა; 24. ია; 25. ნიკ; 26. კობრა; 27. რულეტი; 28. ეგზეკუცია; 29. აია; 30. ალ; 31. რკო; 32. ეკლესია; 33. ბოკაჩო; 34. გო; 35. მაგნოლია.

**სურათებზე:** მეი უესტი; სტივენ ჯერარდი.

# არმიამ ქუთაისში იმარჯვა, რუსთაველებმა რეკორდი დაამყარეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

— ვულოცავ გამარჯვებულ გუნდს. მართალია, იყო დაპირებები, რომ ჩვენი შემადგენლობა უნდა გაძლიერებულიყო, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ვეცდებით, რისი საშუალებაც გვაქვს, იმით ვიბრძოლოთ.

**გიორგი ორმოცაძე (დინამო):**

— თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ მეორე ნაწილში გამოვასწორეთ. მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ.

**ნიკა რამიშვილი (ბათუმი):**

— კარგად დავიწყეთ, ყველაფერი სწორად გამოგვდიოდა. მეორე ნახევარში, შეიძლება ითქვას, დავილალეთ და ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგს.

**სტუ — თსუ 74:88**

(20:10; 13:31; 21:26; 20:21)

სტუ ჩემპიონატის პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად იბრძოდა, თსუ-ს კი პლეი ოფში გასვლის ამბიცია აქვს და მორიგი 2 ქულის მისათვლელად უკეთეს მეტოქეს სად იპოვიდა.

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა მხოლოდ პირველ მეოთხედში ითამაშა მაღალ დონეზე. 6:10 ჩამორჩენილმა სტუ-მ 17:0 გაქცევა მოაწყო და 23:10 დაწინაურდა, მაგრამ მოპოვებული უპირატესობა ვეღარ შეინარჩუნა. თსუ-მ ნელ-ნელა ძალები მოიკრიბა, თამაში დაალაგა და მატჩის მსვლელობაზე სრული კონტროლი დააწესა. მეორე მეოთხედი სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა 31:13 მოიგეს და თამაშის ბოლომდე მატჩის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვიათ. შესანიშნავად თამაშობდა სახელმწიფო უნივერსიტეტელთა კოტდივუარელი ფორვარდი სერჟ ასელაინი, რომელმაც 21 მოხსნით მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი დაამყარა. აქამდელი საუკეთესო შედეგი სოხუმელ ვახტანგ ქადარიას ეკუთვნოდა, რომელმაც 12 დეკემბერს თსსუ-სთან მატჩში ბურთი 20-ჯერ მოხსნა.

მეორე ტაიმში თსუ-მ ტემპი არ დააგდო და მოპოვებული უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა. სტუ-ს ძლევით თსუ-მ მე-7 ადგილი გაიმყარა და პლეი ოფში გასასვლელი საგზურის მოსაპოვებლად სერიოზული განაცხადი გააკეთა. მეორე წრის მეორე ტური ხვალ ქუთაისში დასრულდება, სადაც ადგილობრივი გუნდი „არმიას" უმასპინძლებს.

გიორგი ჩხეიძე (თსუ):

— შეხვედრამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. პირველ ტაიმით კმაყოფილი არ ვარ, თუმცა მესამე მეოთხედში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოვახდინეთ, მთლიანობაში დაცვაშიც კარგად ვიასპარეზეთ და ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. შესანიშნავად იასპარეზა სერჟ ასელაინმა, რომელმაც დღევანდელ წარმატებაში დიდი როლი ითამაშა.

გია ტეტელაშვილი (სტუ):

— მოწინააღმდეგემ კარგად ითამაშა და პლეიოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით და შეხვედრა დავთმეთ. ვფიქრობ, ჩვენს ასპარეზობაზე დიდი გავლენა იქონია ტატო ჩაჩიბაიას არყოფნამ, რომელსაც ტრავმა აწუხებს. ვფიქრობ, ჩაჩიბაიას რომ ეთამაშა, თამაშის ბედი სხვანაირად გადაწყდებოდა.

გიორგი ტეტელაშვილი (თსუ):

— სტუდენტური დერბი ყოველთვის საინტერესოა, რადგან სატურნირო ცხრილში ერთნაირი მდომარეობა გვაქვს და პლეიოფში გასასვლელად ვიბრძვით ორივე. თუმცა ჩვენ უფრო მოტივირებულნი აღმოვჩნდით და სასიხარულოა, რომ გამარჯვება მოვიპოვეთ. ვფიქრობ, სტუ-ს დღეს ურიგიდ არ უთამაშია და კარგი თამაში აჩვენა.

ვატო თევზაძე (სტუ):

— ვულოცავ თსუ-ს, კარგად დავიწყეთ და პირველი მეოთხედი 10 ქულით მოვიგეთ, თუმცა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოვახერეხთ. ჩაჩიბაია დღეს ნამდვილად დაგვაკლდა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.შსს | 12 | 10 | 2 | 978:772 | 22 |
| 2.რუსთავი | 12 | 10 | 2 | 1028:840 | 22 |
| 3.არმია | 11 | 9 | 2 | 969:723 | 20 |
| 4.ოლიმპი | 11 | 9 | 2 | 947:795 | 20 |
| 5.დინამო | 12 | 8 | 4 | 922:856 | 20 |
| 6.ქუთაისი | 12 | 7 | 5 | 945:877 | 19 |
| 7.თსუ | 12 | 5 | 7 | 841:925 | 17 |
| 8.სოხუმი | 12 | 3 | 9 | 904:999 | 15 |
| 9.ბათუმი | 12 | 3 | 9 | 808:971 | 15 |
| 10.თსსუ | 12 | 1 | 11 | 748:1084 | 13 |
| 11.სტუ | 12 | 0 | 12 | 784:1032 | 12 |

# 28 თებერვალს რომის პაპი გადადგება

28 თებერვალს რომის პაპი ბენედიქტ მეთექვსმეტე გადადგება. ამის შესახებ „ბიბისი“ იტალიურ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება. ჯერჯეროპროფესორი ბონის, მიუნსტერის, ტიუბინგენისა და რეგენსბურგის უნივერსიტეტებში. ვატიკანის მეორე მსოფლიო კრებების დროს რაცინგერი იყო კიოლნის კარდინალის იოზეფ



ბით, უცნობია რატომ მიიღო რომის პაპმა მოულოდნელი გადაწყვეტილება.

გავრცელებული ინფორმაციით, პაპმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაწყვიტა გადადგომა.

85 წლის ბენედიქტ მეთექვსმეტე 2005 წლის აპრილში აკურთხეს ვატიკანში, იოანე პავლე მეორის გარდაცვალების შემდეგ. უცნობია, თუ ვინ შეცვლის მას.

კათოლიკური სამყაროს უახლოეს ისტორიაში მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ბოლო ჩანაწერი, როდესაც პაპმა სანზე უარი თქვა მე-15-ე საუკუნეშია გაკეთებული. 1415 წელს გროგორი მეთორმეტემ რომის პაპის თანამდებობა დატოვა.

ბენედიქტე მე-16 (ერისკაცობაში იოზეფ ალოის რაცინგერი) წარმოშობით გერმანელი სასულიერო პირია. იგი მღვდლად 31 წლის ასაკში ეკურთხა. ამ ასაკში გახდა ფრაიზინგის ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი. იყო დოგმატიკის ფრინგსის მრჩეველი. მისი შედგენილი ტექსტებით, რომელსაც იგი კარდინალის მოხსენებებისთვის ადგენდა, გაითქვა მსოფლიო კრებაზე სახელი.

1977 წელს პავლე მეექვსეს დანიშნულ იქნა მიუნხენისა და ფრაინზინგის არქიეპისკოპოსად და იმავე წელს მიენიჭა კარდინალის წოდება. 1981 წლიდან პაპად არჩევამდე იყო რწმენის კონგრეგაციის თავკაცი. ამ მაღალი უფლემოსილებით მთელი ამ წლების განმავლობაში იცავდა კათოლიკურ ეკლესიის ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს ლიბერალიზმის მომძლავრებისგან (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში) და შიდაგამთიშველური გამოვლინებებისგან, ასევე წინ აღუდგა გარკვეულ მღვდელთა პოლიტიკურ (სოციალისტურ) აქტიურობებს ლათინურ ამერიკაში.

11 თებერვალს პაპმა ბენედიქტე მეთექვსმეტემ განაცხადა, რომ 28 თებერვალს ტახტიდან გადადგება „მენტალური და ფიზიკური მდგომარეობის გაუარესების გამო“.

# „ძმები მუსლიმები“: მურსი ვადაზე ადრე არ გადადგება



ეგვიპტის მმართველმა პარტიამ „ძმებმა მუსლიმებმა“ ოპოზიციის მოთხოვნა უარყო, რომლებიც „დაბალანსებული მთავრობის“ შექმნას ითხოვენ და ოპონენტები „არადემოკრატიულობაში“ დაადანაშაულა, იმის გამო რომ მათ მუჰამედ მურსის კანონიერად არჩეულ პრეზიდენტად აღიარება არ სურთ.

ბოლო პერიოდში ეგვიპტეში საპროტესტო დემონსტრაციები არ ცხრება-ოპოზიციის მომხრეები მურსის რევოლუციის იდეების ღალატში ადანაშაულებენ. „ძმები მუსლიმების“ წარმომადგენელმა „ბი-ბი-სის“ განუცხადა, რომ მურსი თანამდებობას საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე არ დატოვებს.

მუჰამედ მურსი 2000-2005 წლებში იყო ეგვიპტის პარლამენტის წევრი.

2012 წლის 24 ივნისს ეგვიპტის საარჩევნო კომისიამ მურსი გამოაცხადა ქვეყნის ახალ პრეზიდენტად. კომისიის თანახმად, მურსიმ მცირე უპირატესობით აჯობა კენჭისყრაზე თავის მეტოქეს, აჰმედ შაფიკს — რომელიც ბოლო პრემიერ-მინისტრი იყო პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მთავრობაში. კომისიის ცნობით, მურსიმ ხმათა 51.7 % მოიპოვა, შაფიკს კი 48.3 % ერგო.

მოამზადა გვრა მამულაშვილმა

# „კურიოსიტიმ“ მარსზე ხვრელი გააკეთა



ამერიკულმა მარსმსვლელმა „კურიოსიტიმ“ წითელი პლანეტის ზედაპირი გაბურღა და გრუნტის ნიმუში მოიპოვა. როგორც ნასაში აცხადებენ, ასეთი შემთხვევა ისტორიაში პირველია. რობოტი ხვრელის გაკეთებას შეუდგა თებერვლის დასაწყისში. ამ მომენტში „კურიოსიტი“ იმყოფება გეილის კრატერში, სადაც მეცნიერების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი ალბათობაა სიცოცხლის კვალის აღმოჩენის. გრუნტის ნიმუშის მოსაპოვებლად რობოტს 1,6სმ-ის სიფართის და 6,4სმ-ის სიგრმის ხვრელის გაკეთება დასჭირდა.

მარსი მეოთხე პლანეტაა სიშორით მზის სისტემაში. მეტსახელად „წითელი პლანეტა“ ჰქვია დედამიწიდან, ღამის ცაზე, მისი შეფერილობის გამო. მას ორი თანამგზავრი ჰყავს — ფობოსი და დეიმოსი — მცირე და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე სხეულები, შესაძლოა მარსის გრავიტაციაში მოქცეული ასტეროიდები იყოს.

ჩინურ, კორეულ, იაპონურ და ვიეტნამურ კულტურებში პლანეტას მოიხსენიებენ როგორც ცეცხლოვან ვარსკვლავს, ძველი ჩინური ხუთი ელემენტის მითოლოგიურ ციკლზე დაყრდნობით.

პლანეტაზე თვეების განმავლობაში ქარიშხლები მძვინვარებს. პლანეტის ფერი მოწითალო, სისხლისფერია. ეს ფერი ძველ ბერძენთა და რომაელთა წარმოდგენაში ომთან და სისხლისღვრასთან ასოცირდებოდა. სწორედ ამიტომ, ბერძნები და რომაელები ამ პლანეტას ომის ღმერთთან აიგივებდნენ. მარსზე დაშვების პირველი წარმატებული მისია, 1965 წელს მარინერ 4-მა განახორციელა, რომელიც 1964 წელს გაუშვეს დედამიწიდან.

პლანეტაზე არის წარმონაქმნები, რომლებიც მდინარის ამომშრალ კალაპოტს გვაგონებენ. ამ კალაპოტებში წყალი არ არის. პლანეტის ზედაპირზე უამრავი ჩამქრალი ვულკანის კერა და მეტეორიტული კრატერებიც შეინიშნება. მთა ოლიმპი, რომელიც მარსზე მდებარეობს, ყველაზე მაღალი მთაა მზის სისტემაში — მისი სიმაღლე თითქმის 28 ათასი მეტრი, ანუ 28 კილომეტრია.

დღეღამის ხანგრძლივობა „წითელ პლანეტაზე“ თითქმის ისეთივეა, როგორც დედამიწაზე – 24 საათი და 39 წუთი. ყოველ 2 წელიწადსა 50 დღეში ხდება ისე, რომ მარსსა და დედამიწას შორის მანძილი 78 მილიონი კილომეტრია. თუმცა 15 ან 17 წელიწადში ხდება ისეც, რომ ეს მანძილი 56 მილიონ კმ-მდე მცირდება.

იქაურ ზამთარში ტემპერატურა -130 გრადუს ცელსიუსამდე ეცემა პოლუსებზე, ზაფხულში 0-დან 30 გრადუსამდე მერყეობს ეკვატორზე.

2040 წლისთვის ამერიკელებს დაგეგმილი აქვთ ექსპედიცია, რომლის დროსაც პირველი ადამიანი დაეშვება მარსზე.

# ლონდონში შოტლანდიის დამოუკიდებლობის უარყოფითი მხარეების შესახებ მოხსენება გამოქვეყნდა



დიდი ბრიტანეთის მთავრობამ იმ კვლევის გამოქვეყნება დაიწყო, სადაც შოტლანდიის გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფის შემთხვევაში ნეგატიური შედეგებია ნაჩვენები.

მოხსენებაში სამართლის ორი პროფესორი აღნიშნავს, რომ ედინბურგის გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფის შემთხვევაში შოტლანდიას მოუწევს ახლიდან მოიპოვოს ევროკავშირის, ნატოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობა.

მოხსენების ავტორები ხაზს უსვამენ, რომ უელსს, ჩრდილოეთ ირლანდიასა და ინგლისს, პირიქით, ავტომატურად შეუნარჩუნდებათ საერთაშორისო ვალდებულებები და შეთანხმებები.

შოტლანდია ერთ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო თავისი საკუთარი მთავრობით, ახლა კი იმ ოთხ ერს შორისაა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს აყალიბებს ერთ სახელმწიფოდ. 1603 წელს შოტლანდიის მეფე ჯეიმზ მეოთხე ინგლისის მეფეც გახდა და ჯეიმზ პირველი ეწოდა. 1707 წელს შოტლანდიის პარლამენტი ინგლისის პარლამენტს შეუერთდა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტი გახდა. 1801 წელს კი დიდი ბრიტანეთი ირლანდიასთან გაერთიანდა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო წარმოიქმნა. თუმცაღა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ისტორიის მანძილზე მან საკუთარი კანონმდებლობა, სკოლა და უნიკალური კულტურა შეინარჩუნა.

1999 წლიდან შოტლანდიას საკუთარი პარლამენტი აქვს. ამის მიუხედავად, ძირითადი საკითხები მაინც ვესტმისტერიდან კონტროლდება. შოტლანდიის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დღესდღეობით ისევ დამოუკიდებლობა სურს.

# რასმუსენი: ნატო მსოფლიო პოლიციელის როლს ვერ შეასრულებს



ნატოს ხელმძღვანელის ანდერს ფოგ რასმუსენის თქმით, ალიანსი სირიის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, თუ თურქეთზე მოხდება თავდასხმა.

გასულ კვირას „ობსერვერთან“ საუბრისას გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ის იმედგაცრუებულია როდესაც სირიის ძალების მიერ ადამიანის უფლებების სასტიკი დარღვევის შესახებ იღებს ინფორმაციას. მისი თქმით, ნატო არ ერევა სირიაში მიმდინარე მოვლენებში, იმის გამო, რომ გაეროს ეს არ უთხოვია, ისევე როგორც სირიის ოპოზიციას „საერთაშორისო საზოგადოებისათვის სამხედრო ჩარევის თხოვნით არ მიუმართავს“,-აღნიშნავს რასმუსენი, რომლის აზრითაც სამხედრო ჩარევა „კარგს არაფერს მოიტანს. მე მიმაჩნია, რომ სამხედრო ჩარევა გაურკვეველ შედეგებს მოიტანს თავად სირიის საზოგადოების სირთულიდან გამომდინარე. სამხედრო ჩარევამ, შესაძლოა, სრულიად ვერ გადაჭრას კონფლიქტი და პირიქით, ვითარება გააუარესოს“.

თუმცა, რასმუსენი აქვე ამბობს რომ ვითარება სხვაგვარი იქნება სირიის მიერ თურქეთზე თავდასხმის შემთხვევაში. გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ალიანსისათვის ადამიანის უფლებებზე წინ ნატოს წევრი ქვეყნების დაცვა დგას: „ნატო მსოფლიო პოლიციელის როლს ვერ შეასრულებს. ჩვენ ქვეყნიდან ქვეყანაში ვერ ჩავალთ ყველა კონფლიქტის გადასაჭრელად. ეს უბრალოდ შეუძლებელია“,-აღნიშნავს ნატო გენერალური მდივანი.

ამ ფონზე, სირიის ეროვნული კოალიციის ლიდერმა მოაზ ალხატიბმა განაცხადა, რომ მას სურს პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წარმომადგენლებთან ჩრდილოეთ სირიაში გამართოს მოლაპარაკებები.

ალხატიბის თქმით, მოლაპარაკების მიზანი იქნება მოინახოს ასადის მიერ თანამდებობიდან „რაც შეიძლება ნაკლები სისხლისღვრით წასვლის გზები“.

როგორც „როიტერისათვის“ ცნობილი გახდა, კვირას კაიროში ალხატიბი სირიაში გაეროს საგანგებო წარმომადგენელს ლაკდარ ბრაჰიმს შეხვდა. შეხვედრაზე ძირითადად იმსჯელეს, რამდენად დაეთანხმება ოპოზიცია ალხატიბის სამშვიდობო ინიციატივას.

სირიის ხელისუფლებას ალხატიბის ინიციატივისათვის ფორმალურად არ უპასუხია, თუმცა ინფორმაციის მინისტრმა ამრან ალ-ზუბიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ სირიის მომავლის განსახილველად ოპოზიციას დამასკოში ელოდებიან.

# TV პროგრამა

## სამშაბათი 12 თებერვალი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები“ 17.00 „საფარი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ენრიკო მატეი — კაცი“ რომელიც მომავალს უყურებდა“ 22.00 „აქცენტები“ 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: სელტიკი — იუვენტუსი (პ/რ) შესვენებისას: „ვიქტორინა“ 01.50 მხ/ფ „იღბლიანი“ (ტიტ.)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 16.00 დ/ფ „თანამედროვე იარაღი“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „გაქცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მხ/ფ „გარიგება“ 00.15 სერ. „ღვინის გზა“ 00.50 მხ/ფ „უკვდავი კალასი“ (ფ.არდანი) 02.30 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 „ნანუკას შოუ“ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდა 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 სპექტაკლი „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „წმინდა მეფე აშოტ კურაპალატი“ 10.55 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ყვარყვარე“ 13.40 კონცერტი-კვინტეტი „ურმული“ 14.50, 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დოკ/ფ „უბისა“ 16.20 აქტუალური თემა 16.40 დოკ/ფ „ნათელი იგი“ 18.10 სალბუნი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 შარავანდედი (გად. 7) 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 დოკ/ფ „მღვდელმთავარნი ქრისტესანი“ 23.40 მოკ/ფ „ბზიანეთი“ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# სამგლოვიარო განცხადებები

სოსო ნაყოფია თანაუგრძნობს ბატონ ვაჟა ხუფენიას ოჯახს ძმის

**ნუგზარ აბელის ძე ხუფენიას**

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6561

ევრო — 2,2213

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6095

100 რუსული რუბლი — 5,4915

## ამინდის პროგნოზი 12 თებერვლისთვის





# 11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან" ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 1

ამერიკული ზღაპრები





# მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან" ერთად

# ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


# სანდენსის კინოფესტივალზე გამარჯვებული ფილმი თბილისში აჩვენეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დარბაზში სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვებული ქართველი რეჟისორის თინათინ გურჩიანის დოკუმენტური ფილმის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" დახურული ჩვენება გაიმართა.



კინოჩვენებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, ფილმის რეჟისორი თინათინ გურჩიანი, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რეჟისორები, მსახიობები, პროდიუსერები, კინოკრიტიკოსები, მოწვეული სტუმრები.

ქართველი რეჟისორის თინათინ გურჩიანის დოკუმენტურმა ფილმმა სანდენსის კინოფესტივალზე წელს გამარჯვება მოიპოვა. კინოფილმმა „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" პირველი ადგილი აიღო საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის რეჟისურისათვის. ფილმის გადაღება განხორციელდა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისა და რობერტ ბოშის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო ფილმის რეჟისორი და პროდიუსერი სანდენსის კინოფესტივალზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოხვდნენ.

რეჟისორი თინათინ გურჩიანი, 2011 წელს, სამშობლოში დაბრუნდა, დაიწყო თავისი ფილმისათვის გმირების ძიება და გამოაცხადა შესარჩევი კონკურსი 15-დან 23 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას, ვისაც მიაჩნდა, რომ თავისი რეალური ისტორიით, ყოველდღიური ყოფითა თუ მიზნებით შეძლებდა კინოგმირი გამხდარიყო. რეჟისორის ინიციატივას მთელი ქვეყნიდან უამრავი ახალგაზრდა გამოეხმაურა, მძაფრი, ენერგიით დამუხტული, სევდიანი თუ ღიმილიანი ისტორიებით.

— ფილმი შედგება კასტინგებისა და ტრადიციული თხრობისაგან, ფილმისათვის განსაკუთრებით საინტერესო გმირებს რეჟისორი ყოველდღიურ ცხოვრებაში მიჰყვება. თითოეული გმირი საგულდაგულოდ არის შერჩეული. ფილმის გადაღება 2011 წლის შემოდგომაზე, 20 დღის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში მიმდინარეობდა, მათ შორის თბილისში, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში, წყალტუბოში, ამბროლაურის რაიონის სოფელ ხცისში, მარნეულსა და სხვადასხვა კუთხეებში, — აღნიშნავს რეჟისორი.

„მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" თინათინ გურჩიანის მეორე ნამუშევარია კინოში. მისი მხატვრული დებიუტი „სხვაგან" გერმანიის კინოაკადემიის მთავარ პრიზზე იყო წარდგენილი. ფილმის იდეის ავტორი და რეჟისორი თინათინ გურჩიანია, ოპერატორი — ანდრეას ბერგმანი, პროდიუსერი — თამარ გურჩიანი, აღმასრულებელი პროდიუსერი — კახა მაჭარაშვილი. ფილმში მონაწილეობენ რამინ ირემაძე, ჯემალ აბულაძე, თეონა ბაგრატიონი, ირაკლი კაკუბავა, შუქია წიკლაური, გიორგი ქარსელაძე, ზაზა გიორგობიანი, ირი თოდრიაშვილი, მადი ბერიაშვილი, გურამ ჯიჯავაძე, გოჩა ცქიტიშვილი, სოფო გოგოლაძე, გიორგი სულაბერიძე, სერგო ჩომახაშვილი, თამარ კვიციანი, ედუარდ ციკოლია და სხვები. ფილმის მწარმოებელი სტუდია „ალეთეაა", საავტორო უფლებები „თთფილმს" ეკუთვნის, ხოლო მსოფლიო გაყიდვები — დეკერტ დისტრიბიუშენ".

— ძალიან სასიხარულოა,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ლიპარტელიანი პარიზიდან ოქროთი დაბრუნდა

საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნულმა ნაკრებმა პარიზის დიდი სლემი წარმატებულად დაასრულა. ჩვენებმა საფრანგეთის დედაქალაქში სამივე სინჯის მედლის აღება მოახერხეს, გუნდურ ჩათვლაში კი საფრანგეთისა და მონღოლეთის შემდეგ მე-3 ადგილი დაიკავეს.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტურნირის ჩემპიონის ტიტული ვარლამ ლიპარტელიანმა მოიპოვა, რომელმაც 5 შეხვედრის მოგება შეძლო.

ლიპარტელიანი მე-6 ქართველი ძიუდოისტია შენგელი ფიცხელაურის, ამირან ტოტიკაშვილის, გიორგი რევაზიშვილის, გიორგი გუგავასა და დავით ასუმბანის შემდეგ, ვინც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი



ტურნირის, მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად წოდებული პარიზის „დიდი სლემი" მოიგო.

ლიპარტელიანმა საჩემპიონო სვლა მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყო. რუს ვიქტორ სემენოვს ულამაზესი გდებით აჯობა, მერვედფინალში თბილისური საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი, აზერბაიჯანელი შაჰინ გაჰრამანოვი ორჯერ იუკოზე დააგდო, შემდეგ კი შებოჭა. იპონითვე ჩამოიშორა ტრიბუნების მხურვალე ქომაგობით შეგულიანებული მასპინძელი, საფრანგეთის წარმომადგენელი ლუდოვიკ გობერიც. ნახევარფინალში ლიპარტელიანმა საწადელს ილეთის გარეშე, მაგრამ მაინც უპრობლემოდ მიაღწია — უზბეკ დილშოდ ჩორიევს სამი გაფრთხილებით მოუგო. გადამწყვეტ შეხვედრაში კი კუბელ ეშლი გონზალესს პირველსავე წუთზე აულო მომგებიანი იუკო და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ტურნირის ფინალში გავიდა და ჯამში ვერცხლის მედალს დაეუფლა ავთანდილ ჭრიკიშვილი. ჭრიკიშვილი ფინალურ ორთაბრძოლაში უზბეკეთის წარმოამდგენელ იაჰიო იმამოვთან დამარცხდა, 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი ბრინჯაოს მედლის მფლობელი ამირან პაპინაშვილი გახდა.

საქართველოს ნაკრების სხვა წევრებიდან ყველაზე უკეთ იჭიდავეს და მე-7 ადგილის დაკავება შეძლეს ბეთქილ შუკვანმა (60 კგ), ზებედა რეხვიაშვილმა (73 კგ) და დავით ლორიაშვილმა (100 კგ).

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი 12 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე სწავლას დაუთმეთ

**ვერძი** — საკუთარ თავზე მუშაობა ნამდვილად გარგებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — სხვისი აყოლა არ გარგებთ, თქვენი მოვალეობა შეასრულეთ პირნათლად. **კირჩხიბი** — ფული გაქვთ, მთავარია ეკონომიურად გამოიყენოთ. **ლომი** — ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, ბოლომდე დაიხარჯებით. **ქალწული** — არ გარისკოთ, მშვიდად იმუშავეთ. **სასწორი** — ისწავლეთ და იმუშავეთ, დრო არ დაკარგოთ. **ღრიანკალი** — საქმე კარგად წაგივათ. მშვიდლოსანი — გადაღლილი ხართ, ცოტა შეისვენეთ. **თხის რქა** — უარი არ თქვათ ახალ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მერწყული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **თევზები** — არ გაექცეთ პასუხისმგებლობას, ისე მიუდექით საქმეს, როგორც გეკადრებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტაივანის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 3. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 5. ებრაელთა სასულიერო პირი; 6. სრული უწესრიგობა, გაურკვევლობა; 7. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 11. „ვეფხისტყაოსნის" გერმანულად მთარგმნელი, გამომცემელი; 13. გემთმშენებლობის ცენტრი პოლონეთში; 14. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. სამკურნალო დაწესებულება; 17. ბელგიური ავიაკომპანია; 19. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული ოქროსფერი კუთზიანი კურდღელი; 20. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა.

**თარაზულად:** 1. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 4. ლუთერანული ეკლესია; 8. დიდი სიცხე; 9. რძის პროდუქტი; 10. მაღალფეხიანი, შამპანურის, ღვინის სასმისი; 12. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 14. ფულის ერთეული არგენტინაში; 15. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ერთგვარი ნამცხვარი; 18. უდაბნო აფრიკაში; 21. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 22. კონიაკშერეული თეთრი ღვინისგან მომზადებული სპირტიანი სასმელი, რომელშიც ახალი ხილია ჩათლილი; 23. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

